საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
ც. მირცხულავას სახელობის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტი
ი. ჭავჭავაძის გამზ. 60^ბ, 0179, თბილისი, საქართველო

შესავალი

ნიადაგის მორწყვის თანამედროვე ტექნიკა ძირითადად ორი მიმართულებით ვითარდება: პირველია თვითდინებით მორწყვის წესების გაუმჯობესება სხვადასხვა ტიპის სარწყავი კვლებისა და ზოლების გამოყენებით, მეორე – ხელოვნური დაწვიმების ტექნიკის შემდგომი განვითარება (მაგ. წვეთოვანი მორწყვა) და წარმოებაში მისი ფართოდ დანერგვა.

სასოფლო-სამეურნეო კულტურების თვითდინებით მორწყვის წესებს დიდი ხანია ფართო გამოყენება აქვს. დადებით მხარეებთან ერთად მას უარყოფითი მხარეებიც გააჩნია, კერძოდ, რწყვისთვის დიდი

რაოდენობით წყლის მიწოდება და ნიადაგის ზედაპირზე წყლის შედარებით არათანაბარი განაწილება, რაც ე. წ. ირიგაციული ეროზიის განვითარებით ნიადაგის ზედა, ნაყოფიერი ფენის ჩამორეცხვას იწვევს.

ხელოვნური დაწვიმების დროს რწყვისათვის უფრო მცირე ზომის წყლის ნორმაა საჭირო; ფართობზედაც იგი მეტად თანაბრად ნაწილდება, რის შედეგად ნიადაგის ზედაპირული ჩამორეცხვა თითქმის არ ხდება. რწყვის სწორი ჩატარება დამოკიდებულია რწყვის ტექნიკისა და მორწყვის ახალი გაუმჯობესებული წესების სწორ გამოყენებაზე.

ძირითადი ნაწილი

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ნიადაგის მორწყვას დიდი ხანია მიმართავენ, ზოგიერთ რაიონში მაინც ვხვდებით უსისტემო მორწყვის, ძველი ტექნიკისა და წესების გამოყენების შემთხვევებს (ფართობზე ნორმით გათვალისწინებული სარწყავი წყლის 2-3-ჯერ მეტი რაოდენობით მიშვება და სხვა), რაც სარწყავი წყლის დიდი რაოდენობით უსარგებლო ხარჯვას იწვევს. ამ წყლის ნაწილი ნიადაგის სიღრმეში იჟონება და ზოგიერ-

თი ადგილის დაჭაობებასა და დამლაშებას იწვევს, ნაწილი კი მძლავრ ნაკადებად ჩამოედინება ნიადაგის ზედაპირზე და ირიგაციული ეროზიის განვითარებით რეცხავს ნიადაგის ზედა ნაყოფიერ ფენას, რითაც დიდ ზიანს აყენებს სოფლის მეურნეობას.

ირიგაციული ეროზიის შესასწავლად და მის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებების დასადგენად გამოკვლევები ჩატარდა საგარეჯოს რაიონის სოფ. სართი-

ჭაღის საცდელი უბნის ტერიტორიაზე ჩატარებული ცდების საფუძველზე აღმოჩნდა, რომ 125 მ-ის სიგრძის სარწყავ კვალში 0,6 ლ/წმ სიმძლავრის წყლის ნაკადის გაშვების დროს, რომლის მოძრაობის სიჩქარე 0,29-0,34 მ/წმ-ია, ნიადაგის ჰუმუსოვანი ფენის დანაკარგი 1 ჰექტარზე 13,8 ტონას აღწევდა. სარწყავი კვალის სიგრძის 60 მ-მდე შემცირებით იმავე პირობებში ნიადაგის დანაკარგი ჩამორეცხვით 1 ჰექტარზე 67,4 ტონას შეადგენს (2).

ირიგაციული ეროზია განსაკუთრებით ინტენსიურია ზემო სამგორის სარწყავი სისტემის თვითდინებითი წესით მორწყვის გავრცელების ზონაში, რაც გამოწვეულია სამგორის ველის რთული რელიეფური აღნაგობითა და ნიადაგების თავისებურებებით.

ზემო სამგორის სარწყავი სისტემა ერთ-ერთი სისტემაა საქართველოში, სადაც მორწყვა დიდ ქანობზე წარმოებს. 0,01-0,03 ქანობიანი სარწყავი ფართობები აქ 56%-ს შეადგენს, დანარჩენი 44% უკავია 0,03-ზე მეტ ქანობიან ფართობს. სამგორის სარწყავი მიწების მიკრორელიეფის თავისებურება- ზედაპირის მიხვეულ-მოხვეულობა, ტალღისებრი განლაგება, გრძივი და განივი ქანობები (0,005-0,006) – მორწყვის მიმართულებით ქანობის შერბილებას ზღუდავენ (2).

ოროგრაფიული აღნაგობის გარდა, სამგორის ველზე ირიგაციული ეროზიის განვითარება ხელს უწყობს ნიადაგის საფარის თავისებურებას. აქ დიდ ტერიტორიაზე ნიადაგის სისქე გაჯის ფენამდე საშუალოდ 30-35 სმ-ს აღწევს, გაჯი კი, როგორც ცნობილია, წყლის ცუდი გატარე-

ბის უნართო ხასიათდება; ამიტომ ადვილად ირეცხება როგორც მასზე განვითარებული ნიადაგი, ისე ნიადაგის ქვეშ მდებარე გაჯიანი ფენაც. ხშირ შემთხვევაში, უსისტემო მორწყვის შედეგად, ფართობზე წარმოიქმნება დიდი სიღრმის წყალნარები და ხრამები, რომელნიც აუარესებენ მიკრორაიონის ჰიდროლოგიურ რეჟიმს და აძნელებენ სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების მუშაობას.

ირიგაციული ეროზიის შესასწავლად და მის წინააღმდეგ ბრძოლის ზოგიერთი ღონისძიების შემუშავების მიზნით გამოკვლევები ტარდებოდა სამგორის მძიმე მექანიკური შედგენილობის ნეშომპალა-სულფატურ (გაჯიან) ნიადაგებზე.

კვლევების მონაცემებით, სამგორის სტაციონარის ნიადაგი 0-20, 20-30სმ ფენებში 4,2%-3,8% ჰუმუსს შეიცავს, საერთო აზოტს – 0,226 – 0,207%-ს, საერთო ფოსფორს – 0,203 – 0,188%-ს.

წყალგამძლე აგრეგატების (>0,25მმ) რაოდენობა სახნავ ფენაში 67 – 79%-მდე აღწევს; საერთო ფორიანობა 0-20, 20-40სმ ფენებში 56,5 – 49,4%-ია, მოცულობითი ტენტევალობა კი 58,9 – 59,5%-მდეა. ამავე ფენებში ნიადაგი საკმაოდ მაღალი წყალგამტარობით ხასიათდება.

საცდელ ნაკვეთზე დათესილი იყო სიმინდი და საშემოდგომო ხორბალი. მორწყვა ტარდებოდა მცენარის მოთხოვნილების მიხედვით. მორწყვის წინ და დამთავრების შემდეგ იზომებოდა ნიადაგის ტენიანობა.

ცხრილი 1

მორწყვა მოღვარვის წესით

კულტურა	ნიადაგის ტენიანობა 60სმ სიღრმეზე (საშუალოდ)		ქანობი	სარწყავი წყლის ნორმა მ ³ /ჰა-ობით	წყლის ხვედრითი ხარჯი განივ მეტრზე ლ/წმ-ობით	მყარი ჩამონადენი (ჰაერ-მშრალ მდგომარეობაში) ტონობით ჰა-ზე
	მორწყვამდე	მორწყვის შემდეგ				
სიმინდი	23,6	34,9	0,035-0,052	652	0,21	5,75
	27,0	35,1	-	704	0,41	9,95
	24,2	34,8	-	861	0,32	7,5
	26,3	36,3	-	901	0,19	6,8
საშემოდგომო ხორბალი	22,3	33,8	-	600	0,33	0
	24,60	35,2	-	757	0,41	0
	27,13	35,0	-	905	0,63	0,8

ცხრილი 2

მორწყვა კვლებში მიშვების წესით

კულტურა	ნიადაგის ტენიანობა 60 სმ სიღრმეზე (საშუალოდ)		ქანობი	სარწყავი წყლის ნორმა მ ³ /ჰა-ობით	სარწყავ კვალში წყლის ნაკადი ლ/წმ-ში	მკვრივი ჩამონადენი (ჰაერ-მშრალი) ჰა-ზე ტონობით
	მორწყვამდე	მორწყვის შემდეგ				
სიმინდი	22,7	34,9	0,035-0,052	652	0,21	9,8
	27,2	34,3	-	704	0,41	18,9
	20,3	33,8	-	861	0,32	17,3
	26,3	35,7	-	901	0,19	14,9

მოყვანილი მონაცემებიდან ირკვევა, რომ საშემოდგომო ხორბლით დაკავებული საცდელი დანაყოფებიდან, სადაც მორწყვა ტარდებოდა მოღვარვის წესით (1-ლი ცხრილი), მყარი ჩამონადენი თითქმის არ ყოფილა, ეს აიხსნება იმით, რომ ფართობზე მოსარწყავად მიშვებული წყალი თანაბრად ნაწილდებოდა ნიადაგის ზედაპირზე და პატარ-პატარა ნაკადებად მიედინებოდა თესვის დროს წარმოქმნილი მცირე სიღრმის კვლებში. ამის გამო წყლის ნაკადებს არ ქონდა მოძრაობის დიდი სიჩქარე და დამრღვევი ძალა. მეორე მხრივ, ეს გარემოება აიხსნება ნიადაგის

ზედაპირზე მცენარეთა სიხშირით (ერთ კვადრატულ მეტრზე 479 მცენარე). მცენარეები ბიოკედლის როლს ასრულებს და მკვრივ ჩამონადენს აკავებს ღეროებით.

სიმინდით დაკავებული ფართობი ერთ სავეგეტაციო პერიოდში მოღვარვის წესით რწყვის შედეგად ჰექტარზე 30-33 ტონა ნიადაგს კარგავს. კვლებში მიშვების დროს 50 მ სიღრმის კვლები მოწყობილი იყო დაქანების მიმართულებით. ნიადაგის დანაკარგი 1 ჰექტარზე 59 ტონას შეადგენს (მე-2 ცხრილი).

სიმინდით დაკავებულ საცდელ დანაყოფზე, სადაც სარწყავი კვლები 80მ სიგ-

რძეზე დაქანების მიმართულებით იყო მოწყობილი და სარწყავი წყლის ნაკადი 0,41 – 0,63 ლ/წმ შეადგენდა, ხოლო მოძრაობის სიჩქარე-0,6-0,7 მ/წმ, ნიადაგის ჩამორეცხვის პროცესები მეტად ინტენსიურად მიმდინარეობდა და 1 ჰექტარზე დანაკარგი 80-90 ტონას უდრიდა.

მოსარწყავად მიშვებული წყლის ნაკადის სიჩქარისა და, შესაბამისად, მისი დამრღვევი ძალის შემცირების მიზნით, ამავე ნაკვეთზე (დაქანება 0,035 – 0,052) მორიგი მორწყვის დროს სარწყავი კვლები მოწყობილი იყო დაქანების განივი მიმართულებით.

სარწყავ კვალში წყლის ნაკადი 0,6-0,7 ლ/წმ-ს უდრიდა, ხოლო მოძრაობის სიჩქარე – 0,25 – 0,31 მ/წმ-ს. ამ შემთხვევაში ნიადაგის ჩამორეცხვითი პროცესები

საგრძობლად შემცირდა და ერთ ჰექტარზე ნიადაგის დანაკარგი ორი მორწყვის შედეგად 1,0-1,3 ტონას შეადგენდა.

დაქანების განივად მოწყობილი სარწყავი კვლებით ნიადაგის მორწყვას დადებით მხარეებთან ერთად უარყოფითი მხარეებიც აქვს. კერძოდ, 0,035 – 0,052 დაქანების დროს დაქანების მიმართულებით მოწყობილი კვალი, საიდანაც ხდება განივად მოწყობილ სარწყავ ქსელში წყლის განაწილება, ხშირ შემთხვევაში იხრამება და კვლებში თანაბარი განაწილება მეტად ძნელდება. გარდა ამისა, სამგორის ტალღისებრი მიკრორელიეფი ზღუდავს ასეთი მიმართულების სარწყავი კვლების მოწყობას და ზოგჯერ საჭირო ხდება ნიადაგის ზედაპირის წინასწარი მოსწორება.

დასკვნა

ჩატარებულ დაკვირვებათა შედეგად შეგვიძლია შემდეგი წინასწარი დასკვნების გაკეთება:

1. ირიგაციული ეროზია ინტენსიურად მიმდინარეობს სათოხნი კულტურებით დაკავებულ ფართობზე. რელიეფისა და სარწყავი წყლის ნაკადის სიძლიერის ერთსა და იმავე პირობებში ნიადაგის ჩამორეცხვა უფრო მეტად სათოხნი კულტურების კვლებში (დაქანების მიმართულებით) მიშვებით რწყვის დროს, ვიდრე მოღვარვის წესით მორწყვის შემთხვევაში;
2. სამგორის ნეშომპალა-სულფატურ ნიადაგებზე ირიგაციული ეროზიის შემცირების მიზნით, 0,035 და მეტი ქანობის მქონე ფართობებზე სიმინდის თესვის შემთხვევაში ფართოდ უნდა დაინერგოს განივი ზოლებრივი თესვა. სიმინდით დაკავებული ზოლის სიგანე 50-60 მ-ს არ უნდა აღემატებოდეს, მრავალწლიანი ბალახებისა კი – 20-25მ-ს. მორწყვა უნდა ჩატარდეს მოღვარვის წესით ან დაქანების განივად მოწყობილი სარწყავი კვლებით.

ვალწლიანი ბალახებისა კი – 20-25მ-ს. მორწყვა უნდა ჩატარდეს მოღვარვის წესით ან დაქანების განივად მოწყობილი სარწყავი კვლებით.

3. სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოღვარვის წესით მორწყვის დროს მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ თესვისა და კულტივაციის დროს ნიადაგის ზედაპირზე წარმოქმნილი მცირე სიღრმის კვლები. ისინი იძლევიან ფართობზე წყლის ნაკადის თანაბარი განაწილების საშუალებას; ამავე დროს წყლის ნაკადებს არა აქვთ მოძრაობის დიდი სიჩქარე და დამრღვევი ძალა;
4. სამგორის ნეშომპალა-სულფატურ ნიადაგებზე ირიგაციული ეროზიის მინიმუმამდე შემცირების მიზნით, სამგორის სარწყავ ტერიტორიაზე ახლო მომავალში ფართოდ უნდა დაინერგოს წვეთოვანი მორწყვა.

ლიტერატურა

1. Буачидзе В.М. О некоторых особенностях орошения Самгори. Труды ГрузНИИГиМ. Вып. 18-19. Тбилиси. 1987. стр. 83-95.
2. Кузнецов М.С. Противоэрозионная стойкость почв. М. МГУ. 1981. 135с.
3. Мирцхулава Ц.Е. Инженерные методы расчета и пргноза водной эрозии. М., Колос,1970,240с.

**კოლხეთის დაბლობზე სოფლად მცხოვრები მოსახლეობის მიერ
სასმელად გამოყენებული ჰის წყლების ჰიმიური კვლევის შედეგები
(2017 წლის სექტემბერი)**

**გ. ჩახაია, თ. სუპატაშვილი, ღ. წულუკიძე, ნ. კვაშილავა, დ. კერესელიძე,
ი. კვიციანი, ი. ხუბულავა, ს. გოგილავა, თ. ოქრიაშვილი**
E-mail: gogachaxaia@mail.ru

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
ცოტნე მირცხულავას სახელობის
წყალთა მეურნეობის ინსტიტუტი
ი. ჭავჭავაძის გამზ. 60^ბ, 0179, თბილისი, საქართველო

შესავალი

წყლის რესურსებს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება მოსახლეობისათვის ხელსაყრელი საცხოვრებელი პირობების უზრუნველყოფის, ეკონომიკის ნორმალური ფუნქციონირებისა და გარემოს შენარჩუნებაში. მოსახლეობის, მრეწველობის, ენერჯეტიკის და სოფლის მეურნეობის წყლით უზრუნველყოფა ერთ-ერთი პრიორიტეტული ამოცანაა ქვეყნების ნორმალური ფუნქციონირებისათვის [1].

ქვეყნის მოსახლეობის ხარისხიანი სასმელი წყლით მომარაგება კვლავ გადაუჭრელ პრობლემად რჩება. დღეისათვის წყალსადენების, ინდივიდუალური ჭების, ბუნებრივი წყაროების და მცირე სიმძლავრის სოფლის ტიპის წყალსადენების სანიტარიულ-ჰიგიენური და ტექნიკური მდგომარეობა არადაამაკმაყოფილებელია, სასმელი წყალი არ იქლორება, ან ეს პროცესი დარღვეულია. ზემოაღნიშნულს ემატება წყალმომარაგების წყაროების, განსაკუთრებით ზედაპირულის, მრავალი ფაქ-

ტორებით ინტენსიური დაბინძურება, რის გამოც სოფლის მოსახლეობის უმეტესობა ვერ იღებს ნორმატიული ხარისხის სასმელ წყალს [2].

ბოლო პერიოდში, საქართველოში სოფლის მეურნეობის ინტენსიური განვითარების ფონზე, აქტუალური გახდა გრუნტის წყლების დაბინძურების პრობლემა, რადგან მოსახლეობის მიერ სოფლის მეურნეობის სავარგულებზე უმართავად ხდება სასუქებისა და შხამქიმიკატების გამოყენება.

ბიოსფეროს ყველაზე სახიფათო დამაბინძურებელია აზოტიანი სასუქები: ნატრიუმის გვარჯილა, კალიუმის გვარჯილა, ამონიუმის გვარჯილა, შარდოვანა, ამონიუმის სულფატი. განსაკუთრებით ძლიერ ატოქსიკანტებენ გარემოს, აღნიშნული სასუქების ნიტრატული ფორმები, რომლებიც მაღალი ხსნადობით და გადაადგილების უნარით ხასიათდებიან, რის გამოც ადვილად ხვდებიან გრუნტის წყლებში [3, 4].

ძირითადი ნაწილი

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ბინძურება სხვადასხვა სახის ნივთიერებებით (ნიტრიტი, ნიტრატი, პესტიციდები),

რაც მრავალი მწვავე დაავადებების (თირკმლის უკმარისობა, გულსისხლძარღვთა დაავადებები, სასუნთქი ორგანოების და საშარდე სისტემების დაავადებები და სხვ.) წარმოქმნის და გავრცელების მიზეზად გვევლინება [5] (ფოტო 1). სასმელად გამოყენებული ჰის წყლები ასევე ბინძურდება მოსახლეობის მიერ ჰის სიახლოვეს მოწყობილი საქონლის სადგომებიდან, არაიზოლირებული საპირფარეშოებიდან და საკანალიზაციო სისტემებიდან (ფოტო 2).

აღნიშნული პრობლემა განსაკუთრებული სიმწვავეით დგას კოლხეთის დაბლობის სოფლის მოსახლეობისთვის, რადგან ჯერჯერობით, წყალმომარაგების სისტემების არარსებობის გამო, ხშირად სასმელი წყლის ერთადერთ წყაროს წარმოადგენს ჰის წყლები, რომლებიც ძირითადად 2-30 მეტრის სიღრმის ფენებში არიან გაჭრილი, ხოლო მათი ხარისხის პერმანენტული შემოწმება-ჰიდრომონიტორინგი (მუდმივი რეჟიმული დაკვირვება გრუნტის წყლების რესურსების რაოდენობაზე, ფორმირებაზე. ასევე, დაუდგენელია დაბინძურების ხარისხი და მასშტაბები) უსახსრობის გამო არ ხორციელდება, შესაბამისად, არ არის განსაზღვრული, თუ

რა ღონისძიებების (მართვის მექანიზმები) გატარებაა საჭირო იმისათვის, რომ ჰის წყლების დამაბინძურებელი ფაქტორები სრულად აღიკვეთოს ან არსებითად შეიზღუდოს, რის გამოც აღნიშნულ რეგიონში დღეისათვის სოფლის მოსახლეობის მიერ სასმელად გამოყენებული ჰის წყლები დაუცველია.

ყოველივე ზემოთქმული მიუთითებს იმაზე, რომ კოლხეთის დაბლობზე პირველ ეტაპზე საჭიროა დაბინძურების წყაროების მონიტორინგი და მის არეალში არსებული ჰების წყლის ქიმიური და მიკრობიოლოგიური შემადგენლობის დადგენა, ხოლო მეორე ეტაპზე კი ჰის წყლების ხარისხის ეფექტური მართვის მექანიზმების შემუშავება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ცოტნე მირცხულავას სახელობის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომლები მივლინებული იყვნენ კოლხეთის დაბლობის 7 მუნიციპალიტეტში სოფლად მცხოვრები მოსახლეობის მიერ სასმელად გამოყენებული ჰის წყლების ქიმიური დაბინძურების მახასიათებლების დასადგენად (ფოტო 3, 4).



ფოტო 1. სასმელად გამოყენებული ჰის სიახლოვეს არსებული ქიმიზირებული მცენარეული კულტურები



ფოტო 2. სასმელად გამოყენებული ჭა საქონლის სადგომთან ახლოს



ფოტო 3, 4. საანალიზოდ შერჩეული ჭები კოლხეთის დაბლობის ტერიტორიაზე

ჭის წყლების ქიმიური ანალიზი კეთდებოდა ადგილზე მობილური ქიმიური ლაბორატორიის (CEL Advanced Drinking

Water Laboratory) საშუალებით, კვლევის შედეგები მოცემულია ცხრილი 1-ის სახით.

ცხრილი 1

სოფლის მოსახლეობის მიერ სასმელად გამოყენებული ჰის წყლების ქიმიური ანალიზის შედეგები (სექტემბერი 2017)

ნიმუშის აღების ადგილი	კოორდინატები		სიღრმე, მ	PH	ნიტრიტი, მგ/ლ	ნიტრატი, მგ/ლ	ფოსფატი, მგ/ლ	რკინა, მგ/ლ
აბაშა, სოფ. საბოკუჩაო	4213328	4210794	5	7.2	0.022	0.54	3.89	0,072
აბაშა, სოფ. ქოლობანი	4210618	04215089	7	6.89	0.15	1.22	4.2	0.065
აბაშა, სოფ. მარანი	4210041	04216535	6	6.9	0.1	3.66	5.1	0.012
სენაკი, სოფ. ნოსირი	4215076	4208415	7	7.05	0.013	1.22	5.01	0.062
სენაკი, სოფ. ეკი	4220526	04205036	7	7.01	0.029	4.55	3.1	0.012
სენაკი, სოფ. ზანა	4229037	04205242	7	7.05	0.11	2.22	2.89	0.23
ხობი, სოფ. პირველი მაისი	4220393	4151785	8	7.22	0.022	0.65	1.99	0.15
ხობი, სოფ. ნოჯიხევი	4218037	4155990	6	7.4	0.045	3.55	4.56	0.024
ხობი, სოფ. შუა ქვალონი	4210618	04215089	8	6.9	0.1	3.11	3.22	0.04
წალენჯიხა, სოფ. სოფ. ფაბრიკა	4236693	4202189	7	6.89	0.036	1.68	1.56	0.21
წალენჯიხა, სოფ. ნაკიფუ	4236314	4205849	6	6.45	0.023	0.99	1.35	0.012
წალენჯიხა, სოფ. უღალი	4239084	04207330	5	6.78	0.12	0.999	2.25	0.015
ჩხოროწყუ, სოფ. პატარა ჩხოროწყუ	4229871	4206914	8	6.78	0.038	1.22	1.018	0.01
ჩხოროწყუ, სოფ. მუსური	4229271	4206841	7	6.89	0.025	2.55	1.02	0.01
ჩხოროწყუ, სოფ. ხაბუძე	4236692	4206707	7	6.59	0.024	1.23	1.4	0.98
მარტვილი, სოფ. ნახარე-ბავო	4224086	4221836	5	7.09	0.009	2.8	1.2	0.028
მარტვილი, სოფ. პატარა ინხური	4227090	4224060	7	7.1	0.0016	6.5	1.4	0.077
მარტვილი, სოფ. გაჭვილი	4208170	4222300	8	6.7	0.005	5.2	1.5	1.05
ზღვრული დასაშვები კონცენტრაცია, მგ/ლ					0,2	50	3,5	0,3

დასკვნა

ანალიზის შედეგების მიხედვით, ჩვენ მიერ საანალიზოდ შერჩეული ჭების წყლებში ნიტრიტის შემცველობა მერყეობს 0,09 მგ/ლ-დან - 0,15 მგ/ლ-მდე, ნიტრატის - 0,54 დან 6,5 მგ/ლ-მდე, ფოსფატების საერთო რაოდენობა - 1,018-5,1 მგ/ლ-მდე, შედეგები შედარებულია საქართველოს სასმელი წყლის ტექნიკური რეგლამენტის მონაცემებს, რომლის მიხედვითაც ფოსფატის შემცველობა რიგ შემთხვევაში აღემატება ზღკ-ს. საველე სამუშაოების მიმდინარეობისას დაფიქსირდა რამოდენიმე შეფერილი წყალი, რის გამოც შერჩეული ჭების წყლებში განისაზღვრა ასევე რკინაც, შედეგების მიხედვით ჩანს, რომ რკინის შემცველობა აღემატება ზღკ-ს.

რადგან საანალიზოდ შერჩეული ყველა ჭის წყალი გამოყენებულია სასმელად,

შედეგების დამუშავების დროს ასევე გამოვიყენეთ ჩამოსხმული სასმელი წყლის ხარისხისადმი წაყენებული სანიტარიულ-ჰიგიენური მოთხოვნები, რომლის მიხედვითაც ნიტრიტის შემცველობა არ უნდა აღემატებოდეს 0,005 მგ/ლ-ს. ჩვენ მიერ შერჩეული 18 საანალიზო ჭიდან ნიტრიტის შემცველობა 5-ში მეტია 0,005მგ/ლ-ზე [6].

ზემოაღნიშნული კვლევის მონაცემებზე დაყრდნობით შეიძლება დავასკვნათ, რომ მოსახლეობის მიერ სასმელად გამოყენებული ჭები საჭიროებენ პერმანენტულ კვლევებს მათი სასმელად ვარგისიანობის დასაზუსტებლად. ასევე, აუცილებელია დაბინძურების კერების ნეიტრალიზებისათვის საჭირო რეკომენდაციების მომზადება, შემდგომში ჭის წყლების დაბინძურების თავიდან ასაცილებლად.

ლიტერატურა

1. <https://ekofact.com/2010/05/30/76/>
2. <http://www.ambioni.ge/rogor-dgundeba-vargisia-tu-ara-wyali-sasmelad>
3. <http://batumelebi.netgazeti.ge/news/5910/#sthash.mnow3OB8.dpuf>
4. The technical reglament of drinking water.
5. Nitrate and nitrite in drinking-water. Background document for *development* of WHO Guidelines for Drinking-water Quality.
6. The health requirements approval for bottled drinking water quality.

საქართველოს ნიადაგები და მიწის რესურსები

ზ. ჭარბაძე, ნ. სუნიშვილი
E-mail: Zemfira42@mail.ru

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
ც. მირცხულავას სახელობის
წყალთა მეურნეობის ინსტიტუტი
ი. ჭავჭავაძის გამზ. 60ბ, თბილისი, 0179, საქართველო

შეჯამება

საერთაშორისო სამეცნიერო პროექტის "ნიადაგის დეგრადაციის გლობალური შეფასება - 1990წ." შესრულების შედეგად დადგენილია, რომ ნიადაგის დეგრადაციის პროცესები გავრცელებულია 2 მლრდ. ჰა-ზე. მათ შორის, წყლისმიერი ეროზიის შედეგად დეგრადირებულია ნიადაგების 55,6%, ქარისმიერი ეროზიის შედეგად – 27,9%, ქიმიური ფაქტორებით დეგრადაციაზე (დამარილიანება, დაჭუჭყიანება, საკვები ელემენტებისგან გამოფიტვა) – 12,2%, ხოლო – ნიადაგის დატბორვებსა და ფიზიკურად დატკეპნაზე – 4,2%. გასათვალისწინებელია ასევე ანთროპოპოგენურ უდაბნოებად გადაქცეული ფაქტორები.

საქართველოში ნიადაგის საფარის მდგომარეობა საკმაოდ არაადაპტაციური-ლებელია, ხოლო რიგ რაიონებში კი კრიტიკულ ზღვრამდეც არის მისული. სასოფლო-სამეურნეო სავარგულების მიწებიდან დაახლოებით 10% განიცდის ეროზიასა და დეგრადაციას, 15%-ს აქვს მომატებული მჟავიანობა, 20%-ზე მეტი დამარილიანებული, გადატენიანებული და დაჭაობებულია სხვადასხვა ხარისხით, 5% დანაგვიანებულია ქვებით, დაფარულია ბუჩქნარითა და მეჩხერი ტყეებით, დაახლოებით 5% გაჭუჭყიანებულია რადიონუკლიდებით, 1%-ზე მეტი განიცდის გაუდაბნოებას.

ძირითადი ნაწილი

ნიადაგი მიწისზედა ბიოცენოზის მთელი კომპლექსის ყველაზე ძვირფასი კაპიტალია და სამყაროს სიცოცხლე და კეთილდღეობა საბოლოოდ დამოკიდებულია ნიადაგის საფარის ყველაზე თხელ, ზედა ფენაზე.

საქართველოში მიუხედავად მნიშვნელოვანი მიწის რესურსების არსებობისა, საკმაოდ დაბალია ამ ტერიტორიების ათვისება სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიზნით (სახნავისა და საძოვრების ჩათვლით ათვისებული ნიადა-

გების ფართობი შეადგენს 4 მლნ. ჰა-ს), რაც განპირობებულია იმით, რომ ქვეყნის ტერიტორიის 50%-ზე მეტი დაკავებულია მთის სისტემებით, სადაც ფორმირდება მცირეძალოვანი ხრეშიანი ეროზიასაშიში ნიადაგები. ტერიტორიების მნიშვნელოვანი ნაწილი გამოუსადეგარია სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსაყვანად ან განთავსებულია მიწათმოქმედებისათვის სარისკო ზონაში.

ათვისებულ მიწებს შორის სახნავი სავარგულების ფართობი დაახლოებით

შეადგენს 67%-ს, რომელთაგან 50%-ზე მეტი შავმიწა ნიადაგია. მთელ რიგ განვითარებულ ქვეყნებში სასოფლო სავარგულების წილი გაცილებით დიდია: აშშ-ში ტერიტორიის 47%-მდე, ინგლისში – 71%-მდე, საფრანგეთში – 55%-მდე. შესაბამისად, რუსეთში ერთ ადამიანზე მოდის 0.87 ჰა სახნავი სავარგული, აშშ-ში – 0.70, ინგლისში – 0.1, ჩინეთში – 0.08, იაპონიაში – 0.03. ყველაზე მაღალი მაჩვენებელი კანადაშია - 1.54 ჰა ერთ მცხოვრებზე. სხვადასხვა ქვეყნების მოსახლეობის მიწის სავარგულებით უზრუნველყოფის განსხვავებულობაა სწორედ ის მაჩვენებელი, რის მიხედვითაც შეიძლება ვიმსჯელოთ ცალკეული ქვეყნების ტერიტორიების კლიმატური პირობების სიმკაცრეზე, მოსახლეობის დაბალ წყალუზრუნველყოფასა და მთიანი ტერიტორიების დიდ ხვედრით წილზე.

ყურადღებას იპყრობს ნიადაგის ნაყოფიერების განსხვავებულობა სხვადასხვა ქვეყნებში, რომელიც ნაწილობრივ დაკავშირებულია ბიოკლიმატურ პირობებთან, რაც განსაზღვრავს ნიადაგის ბუნებრივ ნაყოფიერებას აგროტექნიკურ დონეზე.

საქართველოს მიწის ფონდი დანაწილებულია მიწათსარგებლობის კატეგორიების მიხედვით. მიწის ყოველ კატეგორიას გააჩნია გარკვეული დანიშნულება, რომელიც თანდათანობით ფორმირდებოდა მიწასთან ურთიერთობების განვითარებასთან ერთად. მიწის კატეგორიების დანიშნულება დაკავშირებულია მათ სპეციალიზაციას ან მიზნობრივ დანიშნულებასთან და გარკვეული ფედერალური ორგანოების მფლობელობასთან.

ტყით უზრუნველყოფის მიზნით საქართველოს მსოფლიოში საპატიო ადგილი უკავია და ფლობს მსოფლიო ნარ-

გაგებისა და მერქნის მარაგის დაახლოებით 1/35-ს. ბოლქვარული და ზომიერი ტყეების მიხედვით, პრაქტიკულად, მონოპოლისტია და ფლობს მსოფლიო მარაგის 2/3-ს.

ტყე არამარტო მძლავრი ნედლეულის ბაზაა მრეწველობაში, არამედ დიდი ეკოლოგიური განძია ქვეყნისათვის, რომელიც არეგულირებს და ასუფთავებს წყლის ჩამონადენებს, თავიდან გვარიდებს ეროზიულ პროცესებს, უზრუნველყოფს ნიადაგის ნაყოფიერებას, იცავს ბიომრავალფეროვნებას, ფლორისა და ფაუნის გენოფონდს, ამდიდრებს ატმოსფეროს ჟანგბადით, იცავს გარემოს დაბინძურებისაგან. მეტწილად ახდენს კლიმატის ფორმირებას არამარტო საქართველოში, არამედ მთლიანად პლანეტაზე. ტყის ეკოსისტემები უნიკალური მიმწოდებელია ველური ხილის, ძვირფასი სამკურნალო მცენარეების. ტყეები – საუკეთესო სანადირო სავარგულებისა და რეკრეაციის ადგილებია. საქართველოს მდინარეთა აუზებში ტყის ზომიერადსული ჭრა და შემთხვევითი ხანძრები ამცირებს ტყის ფართობებს და ქმნის ეროზიული პროცესების გაძლიერების პირობებს, რაც კატასტროფული პროცესების (წყალდიდობები, ღვარცოფები) საწინდარია. წყლის ბობოქარი ნაკადები ხანგრძლივი წყალდიდობებისას ანგრევენ ჭალის კალაპოტის მიმდებარე და ხანდახან ცენტრალურ ნაწილსაც, სადაც განთავსებულია ყველაზე ნაყოფიერი ნიადაგი და მაღალნაყოფიერი მდელოები. დიდი წყალდიდობების დროს ჭალის ნიადაგის ზედაპირზე ილექება 2-10 სმ სისქის ალუვიური ნალექი, რომელიც ხელს უშლის ბალახის ზრდას.

ბუნებისდაცვითი მნიშვნელობის მიწები ეს ის ტერიტორიებია, რომლებიც განთავსებულია დასახლებული პუნქტე-

ბის საზღვრების შიგნით და ადმინისტრაციულ გამგებლობაშია. ქალაქების გამგებლობაში გადაცემულია 8.262 მლნ. ჰა; სოფლების ადმინისტრაციაში 2.982 მლნ. ჰა; 1997 წელს ამ კატეგორიების მიწებს ეკავა 312 მლნ. ჰა; 1988 წელს 17 მლნ. ჰა გადაყვანილ იქნა ტყის ფონდის მიწებში. ქალაქების და სოფლის დასახლებული პუნქტების ნიადაგები განიცდის ყველაზე დიდ ანთროპოგენურ დატვირთვას. საქართველოს მრავალ ქალაქსა და მათ გარეუბნებში აღინიშნება ნიადაგების გაჭუჭყიანება მძიმე ლითონებით, დიოქსიდებით და ფტორიდებით.

გარეუბნების ნიადაგების გაჭუჭყიანების ერთ-ერთ წყაროდ კვლავ რჩება მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენები. ეკოლოგიის სახელმწიფო კომიტეტის ორგანოების მიერ 2005 წელს გამოვლენილ იქნა 15 ათასი არასანქცირებული ნაგავსაყრელი, რომლის საერთო ფართი შეადგენდა 240 ათას ჰა-ს.

თბილისის გარშემო საქალაქო გზების ავტომაგისტრალების გასწვრივ ნიადაგის გაჭუჭყიანებამ იმ დონეს მიაღწია, რომ დაიწყო მწვანე ნარგავების ხმობა და განადგურება.

ყველაზე სახიფათო მოვლენების რიცხვს მიეკუთვნება შეტბორვა, რის შედეგადაც ხდება არა მხოლოდ საქალაქო კომუნიკაციების, სახლების სარდაფების, შენობა - ნაგებობების ნგრევა, არამედ ნიადაგის დეგრადაცია.

ქალაქის ტერიტორიებზე ნიადაგის მნიშვნელოვან თავისებურებას წარმოადგენს ურბანული მიწების უმრავლესობის ტუტე რეაქცია (ნიადაგი, ქალაქი, ეკოლოგია. 2005 წ.) მაშინ, როცა ბუნებრივ ბიოცენოზებში გარემოს ზედაპირული ჰორიზონტების რეაქცია მუჟავა, იცვლება ქალაქის ნიადაგებში მრავალი ქიმიური ელემენტის ქმედებისა და მიგრაციის ბიოგეოქიმიური თავისებურებები მათ ბუ-

ნებრივ ანალოგებთან შედარებით. ამასთან ერთად, მცირდება მიკროორგანიზმების კომპლექსის სახეობათა მრავალფეროვნება.

დაცული მიწები – ის ტერიტორიებია, რომლებიც არაა გადაცემული იურიდიულად ფიზიკური პირის საკუთრებაში, სარგებლობაში ან იჯარაში. დღეისათვის ასეთი მიწების ფართობია 0.181 მლნ. ჰა. მათ შემადგენლობაში ჭარბობს ქვიშიანი, მცენარეულ საფარს მოკლებული, ქვიანი და ხრეშიანი ზედაპირები, ხევები, ჭაობები, ბიცობი მიწები და სხვ.

წყლის ფონდის მიწები - ტერიტორიები, რომლებიც დაკავებულია წყალსატევებით, მყინვარებით, ჭაობებით (გარდა ტუნდრისა და ტყე-ტუნდრის ზონისა), ჰიდროტექნიკური და სხვა წყალსამეურნეო ნაგებობებით, აგრეთვე მიწები, რომლებიც გამოყოფილია წყალსატევების, მაგისტრალური არხებისა და კოლექტორების საგდებების ზოლები-სათვის. ზედაპირული წყალსამეურნეო ობიექტებითა და ჭაობებით დაკავებული ფართობები შეადგენენ 2.113 მლნ. ჰა-ს (ქვეყნის ტერიტორიის 12.4 %), რომელთაგან ჭაობების წილად მოდის 1.30 მლნ. ჰა, მდინარეების, ტბებისა და წყალსაცავების წილად – 0.7 მლნ. ჰა.

ბუნებისდამცავი დანიშნულების მიწები – ტერიტორიები განსაკუთრებით დაცული ბუნებრივი ობიექტებითა და კომპლექსებით, რომელთაც აქვთ ბუნებისდაცვითი, სამეცნიერო, ესთეტიკური, რეკრეაციული და გამაჯანსაღებელი მნიშვნელობები (სადაც განთავსებულია დასასვენებელი სახლები, პანსიონატები, კემპინგები, ტურისტული ბაზები და სხვ.). მათ უმნიშვნელო ფართობი - 0.317 მლნ. ჰა. უკავია. ამ კატეგორიის მიწები განიცდიან ყველაზე ნაკლებ ანთროპო-

გენურ ზემოქმედებას და შეიძლება გამოყენებულ იქნეს ეტალონად ანთროპოგენურად შეცვლილ ანალოგებთან შედარებისას. საჭიროა აღინიშნოს, რომ ბუნებისდამცავი, ნაკრძალების, გამაჯანსაღებელი, რეკრეაციული და ისტორიულ-კულტურული დანიშნულების მიწების ფართობები ბოლო 10 წლის განმავლობაში 2.5 მლნ. ჰა-ით გაიზარდა, რაც ხელს უწყობს საქართველოში ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესებას. ამ კატეგორიის მიწებს მიეკუთვნება წყალდამცავი ზონების ნიადაგები. სწორედ ეს ნიადაგები მდინარეების გასწვრივ ხშირად იხენება, რასაც მიყვარათ ეროზიულ პროცესებამდე. წყალდამცავი ზონები დიდი ქალაქების გარშემო რჩება არასანქცირებული ნაგავსაყრელების ადგილად. გრძელდება ტყეებისა და ბუჩქნარების ჩეხვა და მიწების გადაცემა სააგარაკო მშენებლობისათვის.

სამრეწველო, სატრანსპორტო და სხვა დანიშნულების მიწები – ტერიტორიები, რომლებიც გადაცემულია საწარმოების სხვადასხვა გაერთიანებისა და ორგანიზაციებისათვის მათზე დაკისრებული სპეციალური ამოცანების განსახორციელებლად (სამრეწველო წარმოების, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის, რადიო მაუწყებლობის, ტელევიზიის კოსმოსური და თავდაცვითი მნიშვნელობის და სხვ.). 2000 წლის მონაცემე-

ბით ამ მიზნით გამოყოფილი ნიადაგების ფართობი შეადგენდა 0.117 მლნ. ჰა-ს. ამ კატეგორიის მიწების ნიადაგის საფარის რღვევა ხდება სასარგებლო წიაღისეულის (605 ათასი ჰა) და ტორფის (276.5 ათასი ჰა) მოპოვების შედეგად. 2000 წლის რეფორმამდე შემუშავებული იყო საკანონმდებლო აქტები, რომლებშიც დეკლარირებული იყო მიწაზე საკუთრების ფორმის მრავალფეროვნება, მათ შორის კერძო საკუთრებაც. მოხდა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ტრანსფორმირება სააქციო საზოგადოებებად და ფერმერულ მეურნეობად. ჩამოყალიბდა სპეციალურად მიწის გადანაწილების ფონდი (3.908 მლნ. ჰა-ზე მეტი). უნდა აღინიშნოს, რომ მიწის რეფორმა, რომელიც მიმდინარეობდა ბოლო 10 წლის განმავლობაში არ გამოიღო სასურველი შედეგი – არ გაუმჯობესდა ნიადაგების მდგომარეობა, პირიქით, გამოისახა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის მკვეთრ შემცირებაში. სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის მნიშვნელოვანი დაცემა გამოწვეულია ნიადაგის ნაყოფიერების გაზრდისათვის შესაბამისი ღონისძიებების გაუტარებლობით (ორგანული და მინერალური სასუქების მკვეთრი შემცირება). საქართველოს სახნავ სავარგულებში აღინიშნება კვების ელემენტების უარყოფითი ბალანსი.

დასკვნა

საქართველოში გამოუსადეგარი მიწების აღდგენა (რეკულტივაცია) მცირე მოცულობით ხდება. უკრაინის, ჩეხეთის, პოლონეთის და აშშ-ს გამოცდილება გვიჩვენებს, რომ რეკულტივირებული მიწებიდან შესაძლებელია საკმაოდ კარგი მოსავლის მიღება.

პრობლემატურია დასაშრობი და

სარწყავი ნიადაგები. სარწყავი ობიექტების სისტემები გამონაკლისის გარეშე არაა დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაში იმყოფება, რაც იწვევს მეორად გადატენიანებასა და ნიადაგის დაჭაობებას. არასაკმარისი მოცულობით ხდება დამარილიანებული (მლაშე) ნიადაგების განმარილება და ბიცობი ნიადაგების ქიმი-

ური მედიორაცია.

2000 წლის რეფორმის შემდეგ მოხდა ფერმერული მეურნეობის ფორმირება და მიწის ნაკვეთების საკუთრებაში გადაცემა. უნდა აღინიშნოს, რომ მიწის რეფორმა, რომელიც ამ ბოლო 10 წლის განმავლობასი მიმდინარეობდა, არ გააუმჯობესა ნიადაგის მდგომარეობა, პი-

რიქით ნიადაგის ნაყოფიერება მნიშვნელოვნად შემცირდა, რაც გამოიხატა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის მკვეთრ დაცემაში.

აუცილებელია სასოფლო სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის ამაღლების მიზნით ახალი პროგრამის შემუშავება და მისი რეალიზაცია.

ლიტერატურა

1. სტატისტიკური სამმართველოს მონაცემები. 2012წ.

რწყვის რეჟიმის ელემენტების დაზუსტება ნიადაგის ფიზიკურ-წყლოვანი თვისებების ბათვალისწინებით

ო. ხარაიშვილი¹⁾, მ. ლომიშვილი¹⁾, მ. კიკაბიძე²⁾, ნ. მებონია¹⁾

E-mail: Xaraishvili-nona@yandex.ru, makomako429@mail.ru,
n.mebonia@agrun.edu.ge, maia.kikabidze@bk.ru

- 1) საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
გურამიშვილის გამზ. 17, თბილისი, 0192, საქართველო
- 2) საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
ცოტნე მირცხულავას სახელობის
წყალთა მეურნეობის ინსტიტუტი
ი. ჭავჭავაძის გამზ. 60^ბ, 0179, თბილისი, საქართველო

შესავალი

რწყვის რეჟიმის დადგენა რწყვის შედეგად ნიადაგში გამოწვეული ცვლილებების გათვალისწინების გარეშე დიდ ცდომილებას იძლევა. ბუნებრივია, რომ ნიადაგის ფიზიკურ-წყლოვანი მახასიათებლები წყლის ხანგრძლივი მიწოდების შედეგად მკვეთრ ცვლილებას განიცდის, რაც სათანადოდ უნდა იქნას გათვალისწინებული რეალური რწყვის რეჟიმის დასადგენად, რათა მინიმუმამდე იქნას დაყვანილი სარწყავი წყლის უქმი დანაკარგები ფართობებზე მისი რაციონალურად განაწილების (დროსა და სივრცეში) მიზნით. ამიტომ არსებული სარწყავი სისტემის გადასინჯვის ფონზე აუცილებელია რწყვის რეჟიმის ელემენტების შერჩევა, ნიადაგის ფიზიკურ-წყლოვანი ცვლილებების გათვალისწინებით, მათი შემდგომი დაკონკრეტებისა და მიკროობიექტების კორექტირება-დაზუსტებით. ყოველივე კი შესაძლებელია ადგილზე, ნატურალური დაკვირვების შედეგად მიღებული მასალების გაანალიზებით [1, 2, 3].

ნალურად განაწილების (დროსა და სივრცეში) მიზნით. ამიტომ არსებული სარწყავი სისტემის გადასინჯვის ფონზე აუცილებელია რწყვის რეჟიმის ელემენტების შერჩევა, ნიადაგის ფიზიკურ-წყლოვანი ცვლილებების გათვალისწინებით, მათი შემდგომი დაკონკრეტებისა და მიკროობიექტების კორექტირება-დაზუსტებით. ყოველივე კი შესაძლებელია ადგილზე, ნატურალური დაკვირვების შედეგად მიღებული მასალების გაანალიზებით [1, 2, 3].

პირითაღი ნაწილი

კვლევის ობიექტად შერჩეულ იქნა ქვემო ქართლის სოფელ წერეთლის მასივი, რომელიც მოიცავს 500-530 მეტრს აბსოლიტური სიმაღლეებით.

აღნიშნული მასივის ნიადაგები ხასიათდებიან ორგანული ნივთიერებების საშუალო რაოდენობის შემცველობით. ნიადაგი მუქი – ყავისფერი ტიპისაა, ექვსი სახესხვაობით. მექანიკური შედგენილობა – ზევიდან ქვევით მსუბუქდება, მატულობს ხირხატიანობა, პროფილს

ეტოლება დელუვიურ-პროლუვიური ნაფენის მორიგეობა. ობიექტის ნიადაგების გამოკვლევის არსებული მასალების საფუძველზე ირკვევა, რომ ნიადაგის ფიზიკურ-წყლოვანი თვისებები ხასიათდებიან შემდეგი მაჩვენებლებით: მექანიკური შედგენილობის მიხედვით, უმეტეს შემთხვევაში, წარმოადგენენ მძიმე და საშუალო თიხნარს, აქტიურ ფენაში (0-75 სმ); ხვედრითი მასა $\delta = 2,67 - 2,69 \frac{\text{ტ}}{\text{სმ}^3}$;

სოლო მოცულობითი მასა
 $\gamma = 1,0 - 1,60 \frac{\text{ბ}}{\text{სმ}^3}$; ფორიანობა $P = 40,47 - 50,96\%$; მაქსიმალურ მოლეკულური ტენტევალობა $r_{\text{მაქ.მოლ.ტენ.}} = 24,73 - 30,34\%$; ზღვრული ტენტევალობა $r = 24,68 - 36,12\%$; სრული ტენტევალობა $r_{\text{სრ.}} = 25,58 - 38,80\%$; პროდუქტიული ტენი $r_{\text{პროდ.}} = 4,34 - 14,97\%$; ფელტრაციის კოეფიციენტი
 $K = 12,2 - 2,51 \times 10^{-4} \frac{\text{სმ}}{\text{წმ}}$.

ნიადაგები ხასიათდებიან სიღრმითი სიმკვრივის მატებით: თუ მოცულობითი მასა ზედა ფენაში $1,10 \frac{\text{ბ}}{\text{სმ}^3}$ -ის ტოლია, 1-1,5 მ სიღრმეზე $1,50 \frac{\text{ბ}}{\text{სმ}^3}$ -მდე მატულობს; ფორიანობა კი კლებულობს 51-დან 44,5%-მდე. დამახასიათებელია აგრეთვე წყლის შეკავების კარგი უნარი და, შესაბამისად, პროდუქტიული ტენის საკმაოდ დიდი რაოდენობა, რაზედაც მიუთითებს ზღვრული ტენტევალობისა და მაქსიმალური მოლეკულური ტენტევალობის მაჩვენებლები 6,89-12,97%-ის ზედა ფენაში და 1,24-5,04% - 1,1 მ სიღრმეზე.

ნიადაგის ფიზიკური და წყლოვანი თვისებების (ანუ მელიორაციული მახასიათებლები) შესასწავლად ნიმუშის აღება და მისი ლაბორატორიული კვლევა ჩატარდა მიღებული მეთოდის მიხედვით. უნდა აღინიშნოს, რომ ნიადაგის აქტიური ფენა, რომლის ხელოვნური გატენიანებაც უნდა მოხდეს, შეზღუ-

დულია 40-50 სმ სიღრმით, რის ქვემოთაც არის ხირხატიანი კირქვა თაბაშიროვანი ფენა, რომელშიც, როგორც ცნობილია, მცენარის ფესვები არ ვრცელდება და წყალს არ აკავებს. ამიტომ აღნიშნული სიღრმეების ქვემოთ ჰორიზონტებიდან ნიმუშების აღება არ მივიჩნიეთ მიზანშეწონილად, ვინაიდან უფრო ღრმა ფენების გატენიანებას რწყვის მეშვეობით, არათუ სარგებლობა, პირიქით, ზიანის მოტანა შეუძლია, რომ არაფერი ვთქვათ ზედმეტი წყლის ხარჯვაზე [4,5].

გამოკვლევების მიხედვით, საანგარიშო საშუალო მელიორაციული მახასიათებლებია:

I მასივისთვის (4 სარწყავი უბანი).

აქტიური ფენა $H = 0,50\text{მ}$; მოცულობითი მასა $\gamma = 1,10 \frac{\text{ბ}}{\text{სმ}^3}$; საერთო ფორიანობა $P = 57,78\%$; ზღვრული ტენტევალობა $r = 39\%$; მაქსიმალური მოლეკულური ტენტევალობა - $r_{\text{მაქ.მოლ.ტენ.}} = 14,55\%$;

II მასივისათვის (3 სარწყავი უბანი).

აქტიური ფენა $H = 0,4\text{მ}$; მოცულობითი მასა - $\gamma = 1,08 \frac{\text{ბ}}{\text{სმ}^3}$; საერთო ფორიანობა $P = 59,8\%$; ზღვრული ტენტევალობა - $r_{\text{ზღ.}} = 37,12\%$; მაქსიმალური მოლეკულური ტენტევალობა - $r_{\text{მაქ.ტენ.}} = 14,38\%$;

მოცულობითი მახასიათებლების მიხედვით გამოანგარიშებული პროდუქტიული $m_{\text{პრ.}}$ ტენი და ოპტიმალური მორწყვის ნორმა $m_{\text{ოპტ.}}$ შეადგენს:

I მასივისათვის

$$m_{\text{პრ.}} = 100 H \gamma (r_{\text{ზღ.}} - r_{\text{მაქ.ტენ.}}) = 100 \times 0,5 \times 1,10 (39 - 14,55) = 1259 \text{ მ}^3/\text{ჰა.} = 126 \text{ მმ.}$$

$$m_{\text{ოპტ.}} = 100 H \gamma (r_{\text{ზღ.}} - r_{\text{ზღ.}} 80\%) = 100 \times 0,5 \times 1,10 (39 - 31,2) = 402 \text{ მ}^3/\text{ჰა.} = 40,2 \text{ მმ.}$$

II მასივისათვის:


$$m_{პრ.} = 100 H \gamma (r_{ზღ.} - r_{გმ.ტ.}) = 100 \times 0,4 \times 1,08 (38,12 - 14,38) = 982 \text{ მ}^3/\text{ჰა.} = 98 \text{ მმ.}$$

$$m_{ო.პტ.} = 100 H \gamma (r_{ზღ.} - r_{ზღ.80\%}) = 100 \times 0,4 \times 1,108 (37,12 - 29,7) = 320 \text{ მ}^3/\text{ჰა.} = 32,0 \text{ მმ.}$$


მიღებული მონაცემების შედარება საპროექტო მონაცემთან გვიჩვენებს, რომ მათ შორის განსხვავება თვალსაჩინოა, კერძოდ, მოცულობითი მასა $\gamma = 0,885 - 1,185 \frac{\text{ბ}}{\text{სმ}^3}$ - და ნაკლებია საპროექტოსთან შედარებით, რომლისთვისაც $\gamma_{საპრ.} = 1,0 - 1,60 \frac{\text{ბ}}{\text{სმ}^3}$. საერთო ფორიანობა კი პირიქით, მეტია საპროექტოსთან შედარებით $P_{საპრ.} = 66,22 - 53,99\%$, ხოლო $P_{საპრ.} = 50,96 - 40,67\%$. მაქსიმალური მოლეკულური წყალტევადობა შესაბამისად ტოლია $r_{გმ.ტ.} = 17,8 - 11,01\%$ და $r_{გმ.ტ.საპრ.} = 24,75 - 20,36\%$; ზღვრული ტენტევადობა $r_{ზღ.} = 46,0 - 33,5\%$; $r_{ზღ.} = 36,12 - 24,68\%$; სრული ტენტევადობა $r_{სრულ.} = 56,0 - 38,5\%$; $r_{ზღ.საპრ.} = 38,30 - 25,58\%$.

აღნიშნული ცვლილებები მიგვანიშნებს ნიადაგის სტრუქტურის გაუმჯობესებაზე გარკვეულ პერიოდში, რაც უნდა აიხსნას მიწების გასარწყავების და აგრეთვე სარწყავ ფართობებზე მრავალწლიანი ბალახების მოყვანით, რომელიც, როგორც ცნობილია, აუმჯობესებს ნიადაგის ფიზიკურ-წყლოვან თვისებებსა და სტრუქტურას.

ნიადაგის ტენიანობის რეჟიმის დინამიკის შესწავლის მიზნით შერჩეულ იქნა ნაკვეთის ცხრა დამახასიათებელი პუნქტი (3 პუნქტი ურწყავი, 6 - სარწყავი), სადაც ყოველ 7-10 დღეში იზომებოდა ნიადაგის აქტიური ფენის ტენიანობა როგორც ტენზომეტრით, ასევე ნიადაგის ნიმუშის აღებითა და შემდგომი გამოშრობით.



ნახ. 1. ატმოსფერული ნალექები (1), ჰაერის ტემპერატურის (2) და ნიადაგის ტენიანობის (3) ცვალებადობის გრაფიკები



ნახ.2 ატმოსფერული ნალექები (1) ჰაერის ტემპერატურის (2) და ნიადაგის ტენიანობის (3) ცვლადობის გრაფიკი

ნახ. 1, 2-ზე გამოსახული გრაფიკები შეესაბამება ურწყავ (1) და სარწყავ (2) უბნებს, რომლებზეც მოცემულია აღნიშნული დაკვირვების შედეგად მიღებული ნიადაგის ტენიანობის რეჟიმი - ნიადაგის ზღვრული (უმცირესი) ტენიანობიდან პროცენტებში. ამავე გრაფიკებზე დატანილია ატმოსფერული ნალექებისა და ჰაერის ტემპერატურის დღეღამური რყევადობის მრუდები.

გრაფიკიდან ჩანს, რომ ატმოსფერული ნალექები და რწყევები აისახება ნიადაგის ტენიანობის რეჟიმში ცალკეული პიკების სახით.

წვიმით გამოწვეული პიკები ნახაზებზე მინიშნებულია წყვეტილი ისრებით, ხოლო ხელოვნური რწყვის შედეგად გამოწვეული პიკები - მთლიანი ისრებით.

როგორც გრაფიკიდან ჩანს, სხვადასხვა კულტურის რწყვის რაოდენობა აღემატება 5-ს, მაშინ, როდესაც საპროექტო მორწყვის რეჟიმის მიხედვით გათ-

ვალისწინებულია რწყვის შემდეგი რაოდენობა: მრავალწლიანი ბალახები 7-ჯერ, რწყვის ნორმით 800 მ³/ჰა; სამარცვლე სიმინდი 9-ჯერ, რწყვის ნორმით 700-800 მ³/ჰა; საკვები ძირხვენები 7-ჯერ რწყვის ნორმით 600-700 მ³/ჰა.

როგორც ვხედავთ, სარწყავი წყალი ფართობებს მიეწოდება გაზრდილი რაოდენობით, ვიდრე იგი სინამდვილეშია საჭირო, რაც შემდგომში თავისთავად გამოიწვევს ისეთ არასასურველ შედეგებს, როგორცაა ფართობების მეორადი დამლაშება, ნიადაგების სტრუქტურის გაუარესება და სხვ. ყოველივე აღნიშნულის თავიდან ასაცილებლად, საჭიროა ნიადაგს მიეწოდოს იმდენი წყლის რაოდენობა, რამდენსაც ითვისებისწინებს მასზე გაშენებული მცენარის წყალმოთხოვნილება.

ნახაზებზე წარმოდგენილი მრუდების გათვალისწინებით ადვილი დასადგენია, რომ ტემპერატურის გადიდებისა და ჰაერის შეფარდებითი ტენიანობის

შემცირების კვალობაზე, ნიადაგის პროდუქტიული ტენის მარაგი ინტენსიურად მცირდება, რაც გამოწვეულია ჯამური აორთქლების (ანუ მცენარის წყალმო-

ხონილების) გადიდებით.

მცენარის წყალმოთხოვნილების განსაზღვრისათვის მოცემულ გამოსახულებას აქვს შემდეგი სახე:

$$E = KD = 2.76D^{0.19} \left(\frac{H}{0.6} \right)^{1.04} \cdot \left(\frac{r}{80} \right)^{0.3}$$

სადაც: D არის ჰაერის ტენიანობის დეფიციტი;

H ნიადაგის აქტიური ფენა;

r - მორწყვის წინ ნიადაგის ტენიანობა %-ში $r_{\text{წინ}}$ -დან.

დასკვნა

სასოფლო სამეურნეო კულტურების არსებული მორწყვის რეჟიმის შესწავლა საშუალებას მოგვცემს კორექტირება შევიტანოთ მცენარეთა წყალმოთხოვნილების განსაზღვრად, განზოგადებულ,

მრავალფაქტორიან ფორმულაში, რაც საფუძვლად დაედო ცალკეული რეგიონების მიხედვით ოპტიმალური რწყვის რეჟიმისა და ტექნიკის შერჩევას.

ლიტერატურა

1. გელიაშვილი პ. სამელიორაციო სარწყავი მიწათმოქმედება, თბილისი, 1985 წ;
2. ტალახაძე ი., ანჯაფარიძე ი. და სხვ. - საქართველოს ნიადაგები. თბილისი, 1983;
3. ტულუში გ. სასოფლო-სამეურნეო კულტურების რწყვის რეჟიმი, თბილისი, 2000 წ.;
4. ყრუაშვილი ი., ინაშვილი ი., კუპრა-ვიშვილი მ., ბზიავა კ. წყლის რესურსების ინტეგრირებული მართვა, თბილისი, 2008 წ., 319გვ;
5. ხმაღაძე გ. საქართველოს წყლის რესურსები, საქართველოს სტრატეგიული კვლევისა და განვითარების ცენტრი, 1997 წ;
6. Shiklomanov I., John C. Rodda. World Water Resources at the Beginning of the Twenty-First Century. Cambridge University Press, illustrated edition, 2003.

ПРОБЛЕМЫ ВОДОСНАБЖЕНИЯ В РОСТОВСКОЙ ОБЛАСТИ

Хецуриани Е.Д.^{1), 2)}

E-mail: goodga@mail.ru

1. Южно-Российский государственный политехнический университет имени М.И. Платова
ул. Просвещения д.132, 346420, Новочеркасск, Ростовская область,
Российская Федерация

2. Донской государственный технический университет
Площадь Гагарина 1, Ростов-на-Дону, 344000, Российская Федерация

ВВЕДЕНИЕ

В соответствии с Перечнем внутренних водных путей Российской Федерации, утвержденным распоряжением Правительства Российской Федерации от 19 декабря 2002 года № 1800-р, протяженность внутренних водных путей Российской Федерации в настоящее время составляет 101,7 тыс км. Гарантированные габариты судовых ходов обеспечиваются на 48,8 тыс км. В 2015 году по данным Донского БВУ Федерального агентства водных ресурсов в Цимлянском водохранилище вода упала до уровня мертвого объема, который находится на отметке 31 м, и ушла на сотни метров от береговой линии. Это привело к проблемам, связанным с

судоходством в бассейне реки Дон. В период маловодья в верховьях и низовьях Волги и на Дону, ниже Цимлянского гидроузла судовые компании испытывают проблему пропуска судов при полной загрузке изза недостаточности глубин. Предлагаются гибкие водоподъемные плотины, которые в межень способствуют подъему уровня воды в судоходных реках, а в период паводка укладываются в флютбет русловой части. Для защиты плотины от солнечной радиации и светового воздействия предусмотрен противосолнечный экран. При испытаниях и практическом использовании, разработанные ГТС показали свою эффективность и работоспособность.

ОСНОВНАЯ ЧАСТЬ

В настоящее время в источниках водоснабжения, в реках вода стала на порядок хуже. В частности, некоторые из показателей качества рек снизились в среднем на 10-15%. Осуществляемых действий недостаточно, и на некоторые из факторов загрязнения не обращают внимания. Выделены два наиболее важных факторов, на которые следует обратить внимание строительству плотин и морским перевозкам. Если в ближайшем будущем ситуация не изменится, тогда в будущем мы рискуем потерять такой хороший источник воды, как река Дон, так

как ухудшается состояние воды в акватории до третьей категории.

Дон – река длиной 1870 км, берет начало в Подмосковье и к нам в Ростов протекает сквозь Цимлянское водохранилище. Воды реки Дон очень широко используются. Река выполняет сразу несколько функций. Первая – это водоснабжение области. Вторая – это обширная «ферма» для разведения рыб. Третья – орошение, вода используется для орошения 228 тысяч га полей и, наконец, четвертая – это транспортная функция. Использование реки Дон можно разделить на

два периода: весенний паводок и межень – когда река отдыхает. Весной в реку собираются талые воды, течение увеличивается, весенний поток промывает русло реки естественным образом, без земснарядов и экскаваторов. Паводок затопливает нижнедонскую пойму – 220 км от Волгодонска до Азова вниз по течению реки, 10-15 км по ширине – от Ростова до Батайска. За счёт разлива Дон всегда окружали плодородные земли – так как во время паводка на землю откладывались богатые органикой илы, почвы промывались от солей и насыщались водой. Но вот 60 лет всю воду, которая должна промывать реку и ее пойму, собирают в Цимлянском водохранилище и не выпускают ее весной – тогда, когда положено очищать реку [1,5].

Во входном створе Цимлянского водохранилища на р. Дон (г. Калач - на - Дону) класс качества воды остался без изменений и соответствует 3, умеренно - загрязненная (ИЗВ 1,93), не соответствует рыбохозяйственной категории по содержанию марганца - 6,6 ПДК и величины БПК₅ – 1,5 ПДК [1,2]. В створе наблюдения нижнего бьефа Цимлянского гидроузла класс качества воды изменился со 2- чистой, до 3- умеренно-загрязненная, выявлено увеличение содержания марганца с 1,7 ПДК до 2,3 ПДК и величины БПК₅ с 1,2 ПДК до 1,4 ПДК. Снизилось содержание нефтепродуктов с 2,4 ПДК до 0,6 ПДК и величина БПК₅ - с 2,3 ПДК до 1,4 ПДК. Во всех створах наблюдений зафиксировано в воде наличие марганца от 3,8 ПДК до 8,4 ПДК, кроме того, в створах от 308 до 223 км - превышение по содержанию величины БПК₅ - 1,2 - 1,4 ПДК, в створах на 308 км 253 – 223 км - наличие в воде ионов железа общего 1,3 и 1,9 ПДК. Содержание в воде остальных ингредиентов не превышает рыбохозяйственные нормы. Оценка состояния реки Дон на участке от нижнего бьефа Николаевского гидроузла до устья в текущем году проведена по обобщен-

ным данным Ростовского областного центра по гидрометеорологии и мониторингу окружающей среды и локального мониторинга. В пределах городов Константиновск, Семикакорск, Ростов-на-Дону р.п. Багаевский, преобладает класс качества воды р. Дон – 3 умеренно – загрязненная. Уровень загрязнений увеличивается к устью реки. В контрольных устьевых створах класс качества воды – 4 «загрязненная». В отдельные сезоны на участке Нижнего Дона выявлено содержание нефтепродуктов до 6.0 ПДК. Причиной является интенсивное судоходство. Отмечались превышения по кратности к ПДК [2] для водного объекта рыбохозяйственного значения по содержанию сульфатов 2 - 3 раза, железа общего 2 - 4 раза, нитритов 2 - 3 раза, нефтепродуктов 2 - 6 раз, меди 4 - 9 раз, величины БПК₅ 1,5 - 2 раза. Существенных изменений гидрохимического состояния р. Дон, по сравнению с 2004 годом, не произошло. Каждый вид деятельности, наносит той или иной ущерб флоре и фауне реки. Но главным образом на реку оказывают влияние 2 основных фактора:

Первый - это смыв биогенных элементов дождями в грунтовые воды, которые, в свою очередь, взаимодействуют с рекой. Биогенные элементы являются продуктами гниения, они смываются со свалок ТБО, полигонов осадков сточных вод, и со всякого рода сельскохозяйственных угодий в грунтовые воды, через которые в дальнейшем попадают в р. Дон.

Второй - это водный транспорт, его влияние на флору и фауну реки огромное. Во первых, водный транспорт создаёт волны, которые в свою очередь разрушают берега, постепенно продукты разрушения засыпают места нерестилищ рыб. Также большое количество рыб гибнет, попадая в лопасти судов.

Построенные водоповышающие плотины на реке привели к быстрому снижению численности промысловых пород рыб в реке Дон и её притоках. В будущем вредное воз-

действие строительства очередной плотины в районе Нижнего Дона возле станицы Богаевская, приведёт к ещё худшим последствиям. Построенные водоповышающие платины уже снизили эффект водообмена Дона. По данным 1914 года скорость обмена вод на реке Дон от устья до истока проходило за 70 / 80 суток, в настоящее время обновление вод проходит за 170 / 190 суток, и когда будет построена Богаевская плотина, водообмен увеличится до 200 суток. Прогрев воды приводит к цветению воды, что в свою очередь приведёт к увеличению затрат на проведение очистки вод в системе очистных сооружений водоснабжения. Также это приведет к гибели молоди, физиологически неокрепших мальков, товарно-промысловых и ценных пород донских рыб, и в ближайшие годы сильно скажется численность взрослой популяции товарно-промысловых и ценных пород рыб [3,4].

Для водоснабжения г. Ростова-на-Дону, Батайск и Аксай используется поверхностный источник – река Дон, качество воды в котором в летне-осенний период года по концентрации фитопланктона превышает более чем в 4 раза допустимый норматив для водоисточников, пригодных для использования в качестве источников хозяйственно-питьевого водоснабжения (ГОСТ 2761-84 «Источники централизованного хозяйственно-питьевого водоснабжения. Гигиенические, технические требования и правила выбора»).

К качеству питьевой воды предъявляются жесткие гигиенические требования: вода должна быть безопасна в эпидемиологическом и радиационном отношении, безвредна по химическому составу и иметь благоприятные органолептические свойства. Массовое развитие микрофитов в водах поверхностных источников водоснабжения в периоды цветения воды создает значительные трудности при водоподготовке и существенно влияет на такие нормируемые показатели как «запах» и

«привкус».

Микрофиты присутствуют в донской воде во все периоды года и представлены, в основном, 3 отделами: синезеленые водоросли (Cyanophyta), диатомовые водоросли (Bacillariophyta) и зеленые водоросли (Chlorophyta). Из отдела синезеленых водорослей в донской воде присутствуют виды *Synechocystis*, *Microcystis*, *Anabaena*, *Oscillatoria*, *Aphanizomenon*; из отдела диатомовых водорослей – *Melosira*, *Navicula*, *Diatoma*, *Synedra*, *Nitzschia*, *Asterionella*, *Cyclotella*, *Pinnularia*; из отдела зеленых водорослей – *Scenedesmus*, *Chlamidomonas*, *Pediastrum*.

Наблюдения за развитием микрофитов в донской воде на протяжении 34 лет с 1981 года показали, что за этот период наблюдается рост количества клеток микроводорослей в водоисточнике, а также изменение их видового состава. Так до 1990 года среднегодовая концентрация микрофитов в донской воде была 2 000-4 000 клеток/мл, в отдельные дни до 25 000 клеток/мл, а, начиная с 1990 года, наблюдается интенсивное развитие фитопланктонов. Микроводоросли являются индикаторами качества водоисточника, в зависимости от степени загрязненности водоисточника могут развиваться различные организмы. Так до 1990 года видовой состав микроводорослей водоисточника был очень разнообразен, с преобладанием микроводорослей рода *Synechocystis*, которые свидетельствовали о принадлежности реки Дон по уровню загрязнения к олигасопробной зоне, то есть водоисточник с незначительными загрязнениями, с высоким содержанием кислорода в воде. Начиная с 2000 годов возрастает количество микроводорослей родов *Oscillatoria*, *Microcystis*, *Anabaena*, микроорганизмов-индикаторов β -мезасопробной зоны, а с 2007 года начинают интенсивно развиваться в теплые периоды годы микроорганизмы-индикаторы α -мезасопробной зоны,

такие как *Aphanizomenon flos-aqua*. В период интенсивного «цветения» водоема в августе-сентябре 2013 года вид микроводорослей *Aphanizomenon flos-aqua* был преобладающим. Снижение количества доминирующих микроорганизмов, при значительном развитии определенного вида в мезотрофных водоемах, является признаком его эвтрофикации. Анализ литературных данных показал, что некоторые виды микроводорослей в результате своей жизнедеятельности, а также при отмирании и разложении при помощи актиномицетов являются продуцентами «пахнущих» веществ, к таким микроводорослям могут относиться виды *Oscillatoria agardhii*, *Aphanizomenon flos-aqua*, *Anabaena flos-aqua*, *Melosira granulata*, *Nodularia* и другие. На интенсивность образования одорирующих веществ в процессе жизнедеятельности микроводорослей влияет их стадия роста, а также условия среды обитания: освещенность, температура окружающей среды, причем, при снижении последних двух параметров интенсивность образования одорирующих веществ увеличивается. В результате развития различных микроводорослей наиболее часто встречаются следующие запахи: гнилостно-землистый, гнилостный, землисто-гнилостный, гнилостно-тенистый, травянисто-гнилостный, землистый, навозный, гнилостно-сточный, рыбный. Обуславливают данные запахи такие выделяемые микроводорослями и актиномицетами летучие природные органические вещества как геосмин, 2-метилизоборнеол (МИБ) и др. Данные показатели могут определяться в воде с помощью хромато-масс-спектрометрического анализа.

Как уже было отмечено выше, пик развития водорослей в водоемной реке Дон приходится на август-сентябрь месяцы, именно в эти периоды вода приобретает специфический запах, интенсивность которого может превышать 2 балла, характер запаха определяется как «травянисто-гни-

лостный», «гнилостно-сточный».

Для изучения качества водоемной воды выше по течению и определения возможного источника развития водорослей в сентябре 2013 года была организована поездка на катере вверх по реке Дон от водозаборов до впадения реки Маныч с отбором проб в 13 точках. В результате анализа воды, отобранной из реки Дон, реки Аксайки, реки Маныч, были определены высокие концентрации микроводорослей во всех пробах воды, в среднем 70 000 кл/мл, с преобладанием вида *Aphanizomenon flos-aqua*, кроме пробы воды из реки Маныч, где температура воды, мутность, фосфор, ХПК и концентрация микроводорослей были значительно ниже, чем во всех остальных пробах воды.

Большого Кавказа (по данным ГМС Губа) за период 1881-2016 гг. климата. Рассмотрены сезонные и годовые особенности этих изменений. Для оценки соответствующих показателей использованы методы линейного тренда, скользящего осреднения с 11-летним осреднением и выделения температурных градаций. Выявлено, что во всех сезонах и в годовом разрезе по отношению 1881-2005-х гг. в 1881-2016-х годах повышение температуры воздуха стало интенсивнее. Показано, что скорость потепления во втором периоде для зимнего сезона больше на 9%, для весеннего сезона -26%, для летнего сезона - 37%, для осеннего - 5%, а для годового - 17%. Повышение сезонных и годовых температур воздуха во втором периоде более интенсивно, чем в первом периоде и соответственно, составляют: 2,6⁰С, 2,4⁰С, 2,3⁰С, 2,8⁰С и 2,5⁰С. Интенсивное потепление, наблюдаемое в начале 1990-х годов, продолжалось и в 2006-2016-х годах. Во всех сезонах и в годовом разрезе увеличилась интенсивность потепления на северо-восточном склоне Большого Кавказа за последние десятилетия.

Ключевые слова: изменение климата, ГМС Губа, интенсивность изменения.

Гидротехника и мелиорация

**РАСЧЕТ ОТКРЫТОЙ СЕТИ
ПОВЕРХНОСТНОГО СТОКА СЕЛЬСКО-
ХОЗЯЙСТВЕННЫХ УГОДИЙ,
РАСПОЛОЖЕННЫХ НА ТЕРРИТОРИИ,
ПРИЛЕГАЮЩЕЙ К АНАКЛИИ,
ЛАЗИКЕ, ПОТИ**

**Сичинава П. О.,¹⁾ Купрейшвили Ш. З.,¹⁾
Харайшвили О.,²⁾ Лорткипанидзе П.³⁾**

¹⁾ ННЮЛ Экоцентр защиты среды

²⁾ Грузинский технический университет

³⁾ Институт водного хозяйства им. Ц.Е. Мирцхулава
Грузинского технического университета
г. Тбилиси, Грузия

** Финансовая поддержка осуществляется в рамках юлнн-национального научного фонда им. Шота Руставели «Об объявлении конкурса на финансирование исследований молодых ученых грантом 2015 г.»*

Исходя из данных полевых экспериментальных опытов для увлажненных почвах центральной части Колхиды (прилегающие к

территории Анаклия, Лазика, Поты) необходимо иметь в виду оценку фильтрационно-капиллярных явлениях для расчета осушительных систем.

Предложена расчетная зависимость формирования поверхностного стока с целью обеспечения использования осушительных территорий для сельскохозяйственного освоения.

Ключевые слова: осушительная система, грунтовые воды, поверхностный сток, норма осушения.

Сельское хозяйство

**УВЕЛИЧЕНИЕ ПЛОЩАДЕЙ
СЕЛЬСКОХОЗЯЙСТВЕННЫХ УГОДИЙ
ДЛЯ РАЗВИТИЯ БИЗНЕСА ВИНОГРАДА
КИНДЗМАРАУЛИ С ИСПОЛЬЗОВАНИЕМ
КОЛОИДНЫХ ФРАКЦИЙ ВЫНОСА
СЕЛЕВОГО ПОТОКА РЕКИ ДУРУДЖИ**

Супаташвили Т.Л.

ННЮЛ Экоцентр защиты среды
г. Тбилиси, Грузия

Селевой поток – самая распространённая природная катастрофа в Грузии. Река Дуруджи один из самых уязвимых рек, но несмотря на опасность исходящую от реки, возможно ее использование для создания микроклимата породы винограда Саперави, из которого делают всемирно известное вино Киндзмараули.

В статье представлена роль состава селевых потоков в производстве вина Киндзмараули. Показан его химический и геологический состав и описан полевой эксперимент, итоги которого были представлены на многих международных конференциях.

Ключевые слова: селевой поток, коллоидные фракции, вино Киндзмараули.

Гидрология

**МЕТОДИКА РАСЧЕТА КОЭФФИЦИЕНТА
СТОКА С УЧЕТОМ ПОЧВЕННО-
МОРФОЛОГИЧЕСКИХ ФАКТОРОВ
ВОДОСБОРА**

**Панчулидзе Дж., Диаконидзе Р., Чарбадзе З.,
Шавлакадзе М., Дадвани К.,
Нибладзе Н. Ш., Диаконидзе Б. Р.**

Институт водного хозяйства им. Ц. Мирцхулава
Грузинского технического университета
г. Тбилиси, Грузия

Общеизвестный факт, что точность при определении величины потери осадков, зависит от точности расчета стокообразующих осадков, вызывающего расчетный сток. В виду сложности установления расчетных величин и множества факторов, влияющих на величину стока, считается целесообразным, величину стока определить в виде коэффициента стока. При этом, коэффициент стока рассчитывается по соотношению объема стока к общему осадков.

Ключевые слова: расход воды, высота слоя потока, площадь бассейна.

Гидротехника и мелиорация

**МЕЛИОРАЦИЯ ПЕРЕСОЛЕННЫХ ЗЕМЕЛЬ
АЛАЗАНСКОЙ ДОЛИНЫ МЕТОДОМ
ГЛУБОКОГО ДРЕНИРОВАНИЯ СМЫВА**

Купарашвили И.

Грузинский технический университет
г. Тбилиси, Грузия

В статье описано значение засоленных земель Алазанской долины в развитии сельского хозяйства, как одного направления стратегического развития страны.

Представлены показатели по экспериментальным наблюдениям 2010-2017г.г динамики расслоения почво-грунтов Алазани, которые сравнены с существующими данными;

Установлена эффективность воздействия глубокого дренирования путем выталкивания грунтовых и смывных вод и реальная возможность мелиорации пересоленных грунтов правого берега Алазанской долины (после весеннего и осеннего смыва).

Ключевые слова: засоленные земли, почвогрунт, расслоение, поверхностное стояние воды, дренированная вода, смыв.

Мелиорация

**ИРРИГАЦИОННАЯ ЭРОЗИЯ И
НЕКОТОРЫЕ МЕРОПРИАТИЯ БОРЬБЫ С
НЕЙ НА ПЕРЕГНОЙНО-СУЛЬФАТНЫХ
ПОЧВАХ САМГОРИ**

**Шургая В. Ш., Кикнадзе Х. Л.,
Кекелишвили Л. Г.**

Институт водного хозяйства им. Ц. Мирцхулава
Грузинского технического университета
г. Тбилиси, Грузия

В статье проанализированы опытные данные интенсивности смывания почвы проведённые на перегнойно-сульфатных почвах в зоне самотечного орошения Верхне-Самгорской оросительной системы и Самгорского опытного участка. В одних и тех же условиях рельефа и силы поливной струи более интенсивный смыв наблюдается при поливе по бороздам, под пропашными культурами, чем при поливе напуском.

С целью уменьшения до минимума ирригационной эрозии желательнее широко внедрить полив искусственным дождеванием-капельное орошение.

Ключевые слова: почва, эрозия, ирригация, капельное орошение.

Водное хозяйство

**РЕЗУЛЬТАТЫ ХИМИЧЕСКОГО
ИССЛЕДОВАНИЯ КОЛОДЕЗНОЙ ВОДЫ,
ИСПОЛЬЗУЕМОЙ СЕЛЬСКИМ
НАСЕЛЕНИЕМ КОЛХИДСКОЙ
НИЗМЕННОСТИ ДЛЯ ПИТЬЯ
(СЕНТЯБРЬ 2017 Г.)**

**Чаяя Г.Г., Супаташвили Т.Л., Цулукидзе Л.Н.,
Квашилава Н. Г., Кереселидзе Д. Н.,
Квирквелия И. Б., Хубулава И. В.,
Гогилава С. Г., Окряшвили О. Т.**

Институт водного хозяйства им. Ц.Е.Мирцхулава
Грузинского технического университета
г. Тбилиси, Грузия

В статье представлены результаты полевых исследований, которые были проведены в сентябре 2017 года. Научные сотрудники Института водного хозяйства им. Ц. Мирцхулава Грузинского технического университета провели полевые исследования в 7 районах Колхидской низменности. Были проведены химические анализы колодезной воды на местах с помощью современного портативного анализатора. Во время исследований была обнаружена с химической точки зрения значительно загрязненная вода в нескольких колодцах, также было зафиксировано загрязнение железом. Результаты сравнивались с регламентом питьевой воды.

Ключевые слова: колодезная вода, химическое загрязнение, регламент питьевой воды.

Охрана окружающей среды

**ПОЧВЫ И ЗЕМЕЛЬНЫЕ РЕСУРСЫ
ГРУЗИИ**

Чарбадзе З. Д., Сухишвили Н. З.

Институт водного хозяйства им. Ц. Мирцхулава
Грузинского технического университета
г. Тбилиси, Грузия

В статье рассмотрены результаты, полученные в проекте 1990 г. „Глобальная оценка деградации почв“. Установлено, что процессы деградации почвы распространены на Земле площадью до 2,0 млрд га, с учетом водной и ветровой эрозии. С целью повышения урожайности сельского хозяйства рекомендована разработка новых проектов и их реализация.

Ключевые слова: земельный фонд, деградация почвы, химическая мелиорация.

Гидротехника и мелиорация

**ВЫБОР ЭЛЕМЕНТОВ ИРРИГАЦИОННОГО
РЕЖИМА В ПОЧВЕ УЧИТЫВАЯ ФИЗИКО-
ВОДНЫЕ СВОЙСТВА**

**Хараишвили Н.¹), Ломишвили М.¹),
Кикабидзе М.²), Мебониа Н.¹)**

¹) Грузинский технический университет
²) Институт водного хозяйства им. Ц. Мирцхулава
Грузинского технического университета
г. Тбилиси, Грузия

Принимая во внимание уровень влажности почвы, установлено, что почвенная структура улучшается оросительные районы с многолетними травами, которые улучшают физико-водные свойства почвы. Необходимо обеспечить столько воды в почве, сколько необходимо для посадки растений.

Ключевые слова: норма полива, орошение, маргинальная тенденция, пористость.

Водное хозяйство

**ПРОБЛЕМЫ ВОДОСНАБЖЕНИЯ В
РОСТОВСКОЙ ОБЛАСТИ**

Хецуриани Е. Д.^{1), 2)}

1. Южно-Российский государственный
политехнический
университет имени М.И. Платова
г. Новочеркасск, Российская Федерация
2. Донской государственный технический
университет
г. Ростов-на-Дону, Российская Федерация

В период маловодья в верховьях и низовьях Волги и на Дону, ниже Цимлянского гидроузла судовые компании испытывают проблему пропуска судов при полной загрузке из за недостаточности глубин. В статье предлагаются гибкие водоподъемные плотины, которые в межень способствуют подъему уровня воды в судходных реках, а в период паводка укладываются в флютбет русловой части. Для защиты плотины от солнечной радиации и светового воздействия предусмотрен противосолнечный экран. В настоящее время в источниках водоснабжения, в реках вода стала на порядок хуже. В частности, некоторые из показателей качества рек снизились в среднем на 10-15%. Осуществляемых действий недостаточно, и на некоторые из факторов загрязнения не обращают внимания. Выделены два наиболее важных факторов, на которые следует обратить внимание строителям плотин и морским перевозкам. Если в ближайшем будущем ситуация не изменится, тогда в будущем мы рискуем потерять такой хороший источник воды, как река Дон, так как ухудшается состояние воды в акватории до третьей категории.

Ключевые слова: мониторинг рек; качество воды; вымирание рыб; плотины; биогенные элементы; эвтрофикация.

Водное хозяйство

**ПЕРСПЕКТИВЫ ОЗДОРОВЛЕНИЯ
РЕЧНЫХ ЭКОСИСТЕМ**

Хецуриани Е. Д.,^{1), 2)} Шкуракова Е. А.³⁾

1. Южно-Российский государственный
политехнический
университет имени М.И. Платова
г. Новочеркасск, Российская Федерация
2. Донской государственный технический
университет
г. Ростов-на-Дону, Российская Федерация
3. Донской государственный аграрный университет
п. Персиановский, Российская Федерация

В статье предлагается водозаборно-очистное сооружение в условиях ковшевого водозабора, который с учётом комплексного подхода позволит решить несколько проблем, существующих на этом водозаборе: предупредить попадание рыбной молоди при заборе воды, обеспечить защиту водозабора от сине-зеленых водорослей, наносов, шуги, а также позволит использовать его в целях оздоровления речных экосистем. Предложенный комплекс водозаборно-очистных сооружений представляет собой конструкции, использующие синтетические водоросли (ерши) для защиты водозаборов. Синтетические водоросли – это гибкие пушистые гирлянды из лески, вплетенной в витый проволочный сердечник из нержавеющей проволоки.

Ключевые слова: водные ресурсы, экосистема, биоценоз, ихтиофауна, рыбные запасы, цветение водоёмов.

ქ რ ო ნ ი კ ა

ინფორმაცია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ც.მიტცხულავას სახელობის ფხალთა მეურნეობის ინსტიტუტის მოღვაწეობის შესახებ 2017 წ.

ინსტიტუტში, რომელიც დაფუძნებულია 1929 წლიდან, ამჟამად მუშაობს 68 თანამშრომელი, აქედან 55% მეცნიერ-თანამშრომელია, მათ შორის: 1 – აკადემიკოსი, საქართველოს მეცნიერებათა

ეროვნული აკადემიის სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგე, 4 – საინჟინრო აკადემიის, 7 – მეცნიერებათა დოქტორი, 26 – აკადემიური დოქტორი, 2 – დოქტორანტი და 2 – მაგისტრანტი.

ინსტიტუტის სამეცნიერო კვლევითი საქმიანობა

◆ ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომლების მიერ 2017 წლის პერიოდულ გამოცემებში გამოქვეყნებულ იქნა 50-მდე სტატია, 3 მონოგრაფია, 4 სახელმძღვანელო და 1 მეთოდური რეკომენდაცია;

◆ ინსტიტუტში მუშავდება პროგრამული დაფინანსების 6 სამეცნიერო ქვემომართულების თემა, რომლებიც აქტუა-

ლურია ქვეყანაში მიმდინარე გახშირებული ბუნებრივი კატასტროფებისა და გარემოს დაცვის ღონისძიებების მეცნიერულად დამუშავების თვალსაზრისით;

◆ ინსტიტუტმა 2017 წელს გამოსცა 2 სამეცნიერო შრომათა კრებული: VII საერთაშორისო კონფერენციისა და მორიგი - №72 სამეცნიერო შრომათა კრებული.

ინსტიტუტის სამეცნიერო ურთიერთობები

საქართველო

• 2017 წლის 17-31 მარტს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ცენტრში მიტცხულავას სახელობის ინსტიტუტში "ერასმუს+"-ის (Erasmus+) პროგრამის ფარგლებში ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა კაუნასის გამოყენებითი მეცნიერებების უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი ინა ზივატკაუსკინე. ინსტიტუტის დირექტორ, პროფესორ გივი გავარდაშვილსა და პროფე-

სორ ინა ზივატკაუსკინეს შორის შედგა შეხვედრა, რომლის დროსაც ხელი მოეწერა შეთანხმებას. შეთანხმება ითვალისწინებს გამოყენებითი კვლევების სფეროში საერთაშორისო დონეზე თანამშრომლობას, აგრეთვე განხილული იყო ორ დაწესებულებას შორის სტუდენტთა გაცვლისა და კვლევებში მათი აქტიური ჩართულობის საკითხები (ფოტო 1).



ფოტო 1. შეთანხმების ხელმოწერისას: პროფ. გივი გავარდაშვილი და პროფ. ინა ზივატკაუსკინე

Photo 1. Signing on the agreement - Prof. Givi Gavardashvili and prof. Ina Zivatkauskiene
Фото 1. Во время подписания соглашения проф. Гиви Гавардашвили и проф. Ина Зиваткаускине

პროგრამის ფარგლებში პროფესორმა ინა ზივატკაუსკინემ წაიკითხა ლექციები: სტუ-ს სამშენებლო ფაკულტეტის სასოფლო-სამეურნეო მელიორაციისა და სამოქალაქო მშენებლობის სპეციალობის IV კურსის სტუდენტებთან (ლექციას დაესწრო 40-ზე მეტი სტუდენტი); სტუ-ს აგრარული მეცნიერებებისა და ბიონინჟინერინგის ფაკულტეტის სასოფლო-სამეურნეო მელიორაციის სპეცია-

ლობის III კურსის სტუდენტებთან (ლექციას დაესწრო 81 სტუდენტი); შეხვედრა გაიმართა ასევე სტუ-სთან არსებული ლიტვური ენისა და კულტურის ცენტრში.

სასტუმრო "ამბასადორ თბილისში" გაიმართა შეხვედრა ლიტვის დიდ მეგობართან, აზერბაიჯანელ პოლიტიკოსსა და მწერალ კამალ აბდულასთან (**ფოტო 2**).




ფოტო 2. სასტუმრო "ამბასადორ თბილისში" შეხვედრისას
Photo 2. at the meeting in the hotel „Ambassador Tbilisi”
Фото 2. Во время встречи в гостинице «Амбасадор Тбилиси»

2017 წლის 31 მარტს ინსტიტუტის სააქტო დარბაზში გაერთიანებულ სხდომაზე პროფესორმა ინა ზივატკაუსკინემ წაიკითხა ლექცია თემაზე: “ნიადაგისა და წყლის რესურსების დაცვის ახალი ტექნოლოგიები ლიტვაში”. მოხსენების შემდეგ გაიმართა დისკუსია, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორ ირინა იორდანიშვილმა, ბუნებრივი კატასტროფების ხელმძღვანელი, გეოგრაფიის აკად. დოქტორი, ასოცირებული პროფესორი რობერტ დიაკონიძემ, ტექნიკის აკადემიურმა დოქტორმა ვლადიმერ შურღაიამ, ტექნიკის აკად. დოქტორმა გოგა ჩახაიამ, ტექნიკის აკა-

დემიური დოქტორმა ლევან იტრიაშვილმა.

- 2017 წლის 28 აპრილს სასტუმრო "რედისონ ბლუ ივერიაში" გაიმართა ნენსკრას ჰიდროელექტროსადგურის პროექტის ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვა. დონისძიებას საქართველოს მთავრობისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები დაესწრნენ. განხილვაში მონაწილეობა მიიღო სტუ-ს ცოტნე მირცხულავას სახელობის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის დირექტორმა, პროფ. გივი გავარდაშვილმა (ფოტო 3, 4).



ფოტო 3-4. პროფ. არჩილ მოწონელიძე და პროფ. გივი გავარდაშვილი
Photo 3-4. Prof. Archil Motsonelidze and prof. Givi Gavardashvili
Фото 3-4. Проф. Арчил Моцонелидзе и проф. Гиви Гавардашвили

- 2017 წლის 29 აპრილს საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოში აღინიშნა აშშ-სა და საქართველოს შორის დიპლომატიური ურთიერთობის 25 წლისთავი. საიუბილეო საღამოზე საპატიო სტუმრის

სტატუსით იმყოფებოდა სტუ-ს ცოტნე მირცხულავას სახელობის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი გივი გავარდაშვილი (ფოტო 5).



ფოტო 5. დ. დიკვაძე, გ. გავარდაშვილი ამერიკის საელჩოში

Photo 5. D. Dzikvadze, G. Gavardashvili in the embassy of USA

Фото 5. Д. Дзиквадзе, Г. Гавардашвили в Американском посольстве Грузии

- 2017 წლის 8 ივნისს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძე შეხვდა აკადემიის წევრებსა და სამეცნიერო-კვლევითი

ინსტიტუტების წარმომადგენლებს, გააცნო მათ კონსტიტუციური კანონის პროექტი და ესაუბრა კონსტიტუციის ახალი რედაქციის ძირითად ასპექტებზე (ფოტო 6).



ფოტო 6. შეხვედრის მსვლელობისას

Photo 6. During the meeting

Фото 6. Во время встречи

- 2017 წლის 28 ივნისს სტუ-ს ც. მირცხულავას სახელობის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტში ვიზიტით იმყოფებოდა ვარშავის სიცოცხლის მეცნიერებათა უნივერსიტეტის პროფესორი, მეცნიერების განვითარების

ფონდის პრეზიდენტი, დოქტორი, პროფესორი ვიესლავ პლანი. შეხვედრისას საუბარი შეეხო მომავალ თანამშრომლობას (ფოტო 7).



ფოტო 7. შეხვედრისას
Photo 7. At the meeting
Фото 7. Во время встречи

- 2017 წლის 6 ივლისს საქართველოში აშშ-ს საელჩოში აღინიშნა ამერიკის დამოუკიდებლობის 241 წლისთავი. საქართველოში აშშ-ს საელჩოში გამართული მიღება ოფიციალური ხასიათის იყო, სადაც ხელისუფლების, ოპოზიციისა და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლები შეიკრიბნენ. შეკრებილებს სიტყვით

ამერიკის ელჩმა საქართველოში იან კელიმ, საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა და პრემიერმა გიორგი კვირიკაშვილმა მიმართეს. მიწვეულ სტუმრებს შორის იყო სტუ-ს ცოტნე მირცხულავას სახელობის ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი გივი გავარდაშვილი (ფოტო 8).



**ფოტო 8. ოფიციალური შეხვედრა საქართველოში აშშ-ს საელჩოში.
ამერიკის ელჩი საქართველოში იან კელი, პროფესორი გ. გავარდაშვილი და დ. ძირკვაძე**
**Photo 8. Official meeting in the embassy of USA in Georgia
ambassador of USA in Georgia Ian Kell, professor Givi Gavardashvili and D. Dzikvadze**
**Фото 8. Официальная встреча в посольстве США в Грузии.
посол США в Грузии Ян Кели, проф. Гиви Гавардашвили и Д. Дзирквадзе**

- 2017 წლის 15-16 აგვისტოს სტუ-ს ც. მირცხულავას სახელობის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტში ვიზიტით იმყოფებოდა ბელარუსიის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოგრაფიის ფაკულტეტის დეკანი, გეოგრ. მეცნ. დო-

ქტორი, პროფესორი დიმიტრი ივანოვი. ინსტიტუტის დირექტორ, პროფესორ გივი გავარდაშვილთან შეხვედრისას დაისახა ინსტიტუტებს შორის სამომავლო ერთობლივი თანამშრომლობის მიმართულებები (ფოტო 9).



ფოტო 9. ინსტიტუტში შეხვედრისას
Photo 9. At the meeting in the institute
Фото 9. Во время встречи в институте

- 2017 წლის 31 აგვისტოს სტუ-ს ც. მირცხულავას სახელობის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტში შედგა ოფიციალური შეხვედრა ინსტიტუტის დირექტორ, ტექნ. მეცნ. დოქტორ, პროფ. გივი გავარდაშვილსა და აშშ-ს აგრარული დეპარტამენტის კონხანის პროგრამის მენეჯერს აღმოსავლეთ ევროპისა და ევრაზიის ქვეყნებში, ტრენინგის საერთაშორისო პროგრამის სპეციალისტ ლევ კუჩევსკის შორის (**ფოტო 10, 11**). საუბარი შეეხო ინსტიტუტის

მეცნიერ-თანამშრომლებისა და სპეციალისტების ჩართულობას ფერმერული მეურნეობის განვითარებისათვის, რისთვისაც აუცილებელია შესაბამისი კვალიფიკაციის სპეციალისტების გადამზადება კონხანის პროგრამით. მიღებულ იქნა შეთანხმება მომავალ წლებში მელიორაციის დარგით აშშ-ს აგრარული დეპარტამენტის მიერ ტრენინგების კურსების გამოცხადებას წყალთა მეურნეობისა და მელიორაციის დარგის მიმართულებით.




ფოტო 10-11. სამუშაო შეხვედრისას
Photo 10-11. At the working meeting
Фото 10-11. Во время рабочей встречи

- 2017 წლის 20 სექტემბერს სტუ-ს ც. მირცხულავას სახელობის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტში შედგა ოფიციალური შეხვედრა სამი ინსტიტუტის (ც. მირცხულავას სახელობის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტი, რუსეთის ფედერაციის მეცნიერებათა აკადემიის გეოგრაფიის ინსტიტუტი და ქ. მოსკოვის გენერალური დაგეგმარების სამეცნიერო-კვლევითი და

საპროექტო ინსტიტუტი) წარმომადგენლებს: პროფ. გივი გავარდაშვილს, პროფესორ ბორის კონხროვსა და გეოგრაფიის დოქტორ ირინა ივაშკინას შორის. საუბარი შეეხო პროფ. გივი გავარდაშვილის მიწვევას 2018 წელს რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის გეოგრაფიის ინსტიტუტში პრეზენტაციებისა და საჯარო ლექციების ჩატარების მიზნით (**ფოტო 12, 13**).



ფოტო 12. სამუშაო შეხვედრისას
Photo 12. At the working meeting
Фото 12. Во время рабочей встречи



ფოტო 13. გივი გავარდაშვილის მიერ 2017 წელს გამოცემული
“ტყის ხანძრებისაგან დაცვის მეთოდური რეკომენდაციები”
Photo 13. by Givi Gavardashvili published in 2017
"Methodological recommendations for protection from forest fires"
Фото 13. «Методические рекомендации по защите от лесных пожаров» -
автор проф. Гиви Гавардашвили - 2017 г.

• 2017 წლის 29 სექტემბერს სტუ-ს ც. მირცხულავას სახელობის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტში შედგა მეცნიერ-პროფესორების ოფიციალური შეხვედრა, რომელზეც განხილულ იქნა საერთაშორისო სამეცნიერო თანამშრომლობის აღდგენის

საკითხი სტუ-ს წყალთა მეურნეობის ინსტიტუტსა და რუსეთის გეოტექნიკასა და მშენებლობაში საინჟინრო კვლევების ინსტიტუტს შორის. შეხვედრას ესწრებოდნენ მეცნიერ-თანამშრომლები საქართველოდან და რუსეთიდან: გ. ჭოხონელიძე

(საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი), გ. გავარდაშილი, მ. ბოგდანოვი (გეოტექნიკასა და მშენებლობაში საინჟინრო კვლევების ინსტიტუტის გენერალური დირექტორი, ქ. მოსკოვი), ე. წერეთელი საქართველოს გარემოს დაცვის მონი-

ტორინგის სააგენტოს მთავარი სპეციალისტი), ზ. კაკულია (ჰიდროგეოლოგიისა და საინჟინრო გეოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი), დ. კერესელიძე (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი) (ფოტო 14).



ფოტო 14. სამუშაო შეხვედრისას
Photo 14. At the working meeting
Фото 14. Во время рабочей встречи

- 2017 წლის 27 ნოემბერს საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის წერილის საფუძველზე საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროში მიწვეულ იქნა სტუ-ს ცოტნე მირცხულავას სახელობის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი გივი გავარდაშილი. ზემოაღნიშნულ სამინისტროში შედგა შეხვედრა სამინისტროს ბიომრავალფეროვნებისა და სატყეო პოლიტიკის დეპარტამენტის სატყეო პოლიტიკის სამმართველოს უფროს, ბატონ კობა ჩიბურდანიძესთან. შეხვედრას ესწრებოდნენ ამავე სამმართველოს მთავარი სპეციალისტი პაპუნა კაპანაძე და ექსპერტ-სპეციალისტები. შეხვედრის

მიზანი იყო პროფესორ გივი გავარდაშილის ნაშრომის "ტყის ხანძრებისაგან დაცვის მეთოდური რეკომენდაციების" განხილვა, რომლის დროსაც გამოითქვა სურვილები და რეკომენდაციები მომავალი თანამშრომლობის შესახებ. შეთანხმდნენ, რომ სამინისტრო ბიომრავალფეროვნებისა და სატყეო პოლიტიკის დეპარტამენტს წარუდგენს თავის მოსაზრებებს შემდგომი რეაგირებისათვის. გამოითქვა მოსაზრება, რომ ნაშრომის საფუძველზე აუცილებელია ქვეყანაში მომზადდეს ტყის ხანძრებისაგან დაცვის კონცეფცია, სტრატეგია, შემდგომ კი ქვეყნის ტყეების ხანძრებისაგან დაცვის სახელმწიფო პროგრამა.

- 2017 წლის 15 დეკემბერს ჩატარდა ახალგაზრდა მეცნიერთა გრანტის ხელმძღვანელის მარინე შავლაყაძის პრეზენტაცია, „საწარმოო ნარჩენებიდან მიღებული მანგანუმშემცველი მასალების გამოყენების შესაძლებლობის კვლევა კოლხეთის დაბლო-

ბის ჭარბტენიანი ნიადაგების ქიმიური მედიორაციის მიზნით“. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტში. პროექტის მენტორი- პროფ. გივი გავარდაშვილი (ფოტო 15, 16).



ფოტო 15-16. მოხსენებისას
Photo 15–16. During the report
Фото 15-16. Во время презентации

სახელმძღვანელო:

- 2017 წლის 25 იანვრიდან 8 თებერვლის ჩათვლით, 16 დღით, ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი გივი გაგარდაშვილი მივლინებით იმყოფებოდა ამერიკის შეერთებულ შტატებში ქ. მერილენდის უნივერსიტეტის გლენ ლ. მარტინის სახელობის ტექნოლოგიის ინსტიტუტში პროფესორ-მასწავლებლებთან გამართულ დისკუსიებში მონაწილეობის მისაღებად და თანამშრომლობის მე-

რანდუმის მოსამზადებლად.

30 იანვარს ნიუ-იორკში, გაეროს შტაბ-ბინაში გაიმართა შეხვედრა გაეროში საქართველოს მუდმივ წარმომადგენელთან, საგანგებო და სრულუფლებიან ელჩთან, ბატონ კახა იმნაძესთან. შეხვედრას ესწრებოდა ელჩის მრჩეველი ქალბატონი ნინო შეკრილაძე. საუბარი შეეხო საქართველოს ინოვაციური ინიციატივების მომზადებას (**ფოტო 17**).



ფოტო 17. გაეროს შტაბ-ბინაში შეხვედრისას გაეროში საქართველოს მუდმივ წარმომადგენელთან, საგანგებო და სრულუფლებიან ელჩ, ბატონ კახა იმნაძესა და ელჩის მრჩეველ ქალბატონ ნინო შეკრილაძესთან

Photo 17. At the meeting to the permanent representative of Georgia in the United Nations, Ambassador Extraordinary and Plenipotentiary Kakha Imnadze and attended Ambassador's Advisor Mrs. Nino Shekriladze

Фото 17. Во время рабочей встречи с постоянным представителем, полномочным послом, господином Кахой Имнадзе и советником посла, госпожой Нино Шекриладзе

3 თებერვალს შედგა შეხვედრა ქ. მერილენდის უნივერსიტეტის გლენ ლ. მარტინის სახელობის ტექნოლოგიის ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებლებთან. გამართულ დისკუსიზე საუბარი შეეხო სასწავლო პროცესში თანამედროვე მეცნიერული მიღწევების დანერგვასა და მომავალ თანამშრომლობას. აღნიშნული უნივერსიტეტი მერილენდის შტატის უდიდესი უნივერსიტეტია, რომელიც აერთიანებს 13 კოლეჯსა და სკოლას, მათ შორისაა ჯეიმს კლარკის სახელობის ინჟინერიის კოლეჯი, ბუნებრივი რესურსებისა და სოფლის მეურნეობის კოლეჯი, კომპიუტერული ტექნოლოგიების, ფიზიკისა და მათემატიკური მეცნიერებების კოლეჯი და ა.შ. სწავლება მიმდინარეობს ბაკალავრიატის 127 და მაგისტრატურის 112 სპეციალობაზე.

6 თებერვალს შედგა შეხვედრა ნიუ-იორკის უნივერსიტეტის პროფესორებთან. შეხვედრისას განხილულ იქნა მომავალი თანამშრომლობა ნიუ-იორკის უნივერსიტეტსა და სტუ-ს ც. მირცხულავას სახელობის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტს შორის. ნიუ-

იორკის უნივერსიტეტი ამერიკის შეერთებული შტატების უდიდესი სამეცნიერო-კვლევითი არაკომერციული კერძო უნივერსიტეტი და ამერიკული უნივერსიტეტების ასოციაციის წევრია. იგი აერთიანებს 16 სკოლას, ინსტიტუტსა და კოლეჯს.

- 2017 წლის 9 მაისიდან 15 მაისის ჩათვლით ქ. რიაზანის ს. ესენინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ოფიციალური მიწვევით სტუ-ს ცოტნე მირცხულავას სახელობის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი გივი გავარდაშვილი მივლინებით იმყოფებოდა რუსეთში, I საერთაშორისო ეკოლოგიურ ფორუმზე სახელწოდებით „ჯანმრთელი ბუნებრივი გარემო რეგიონის უსაფრთხოების საფუძველი“, სადაც 13 მაისს შედგა შეხვედრა ქ. რიაზანის ს. ესენინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორ, პროფესორ ანდრეი მინაევთან, რომლის დროსაც საუბარი შეეხო მომავალში თანამშრომლობის მემორანდუმის მომზადებას (ფოტო 18, 19).




ფოტო 18-19. ქ. რიაზანის ს. ესენინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი ანდრეი მინაევი და სტუ-ს ც. მირცხულავას სახელობის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის დირექტორი გ.გ. გავარდაშვილი შეხვედრისას.

Photo 18-19. Professor of Esenin state university of Riazan Andrei Minaev and director of Tsozne Mirtskhulava Water Management Institute of Georgian Technical University professor Givi Gavardashvili at the meeting

Фото 18–19. Во время встречи ректора Рязанского государственного университета им. С. Есенина, профессора Андрея Минаева и директора института водного хозяйства им. Ц. Е. Мирцхулава Грузинского технического университета, доктора технических наук, профессора Гиви Гавардашвили

- 2017 წლის 6 ნოემბერს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ცენტრე მირცხულავას სახელობის ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი გივი გავარდაშვილი ბუდაპეშტის ტექნოლოგიებისა და ეკონომიკის უნივერსიტეტის სამოქალაქო მშენებლობის ფაკულტეტის ჰიდროტექნიკისა და წყლის რესურსების დეპარტამენტიში შეხვედა ზემოაღნიშნული ფაკულტეტის დეკანის მოადგილეს კვლევების დარგში, პროფესორ ტომას კრამერს. გამართულ შეხვედრაზე საუბარი შეეხო სასწავლო პროცესში თანამედროვე მეცნიერული მიღწევების დანერგვასა და მომავალ თანამშრომლობას (ფოტო 20).

მენტში შეხვედა ზემოაღნიშნული ფაკულტეტის დეკანის მოადგილეს კვლევების დარგში, პროფესორ ტომას კრამერს. გამართულ შეხვედრაზე საუბარი შეეხო სასწავლო პროცესში თანამედროვე მეცნიერული მიღწევების დანერგვასა და მომავალ თანამშრომლობას (ფოტო 20).



ფოტო 20. სამუშაო შეხვედრისას
Photo 20. At the working meeting
Фото 20. Во время рабочей встречи

სამართაშორისო და რესპუბლიკურ კონფერენციებში, ზორუმებში, სემინარებში, კონგრესებსა და სიმპოზიუმებში მონაწილეობა

საქართველო:

- 2017 წლის 24-26 თებერვალს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ახალგაზრდა მეცნიერთა საბჭომ ქ. წყალტუბოში ჩაატარა ახალგაზრდა მეცნიერთა კონფერენცია, რომლის ორგანიზებაში აქტიური მონაწილეობა მიიღო სტუ-ს

ცოტნე მირცხულავას სახელობის ინსტიტუტის ბუნებრივი კატასტროფების განყოფილების მეცნიერთანამშრომელმა, საინჟინრო მეცნ. აკად. დოქტ. მარინე შავლაყაძემ (ფოტო 21, 22).



ფოტო 21-22. კონფერენციის მსვლელობისას
Photo 21-22. At the conference
Фото 21-22. Во время конференции

- 2017 წლის 27 მარტს სტუ-ს ცოტნე მირცხულავას სახელობის ინსტიტუტის მედიორაციული სისტემების დაპროექტებისა და ექსპერტიზის განყოფილების ინჟინერი ფერიდე ლორთქიფანიძე ქ. გურჯაანში შ. რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ახალგაზრდა მეცნიერთა კვლევების გამარჯვებული გრანტის “ახალი ენერგოდამზოგი ტექნოლოგიის შემუშავება საქართველოს

მთიანი რეგიონების არიდული ზონის ურბანული ტერიტორიების სასმელი წყლით მომარაგების პრობლემების გადაწყვეტის გზით” პროგრამით გამართულ რეგიონალურ კონფერენციაზე გამოვიდა მოხსენებით “მდ. ჭერემის ხევის ალუვიურ-პროლუვიურ ნალექებში არსებული ფილტრატი წყლების სასმელი თვისებების კვლევა” (ფოტო 23, 24).



ფოტო 23–24. მოხსენებისას
Photo 23–24. During the report
Фото 23–24. Во время презентации

- 2017 წლის 25-27 აგვისტოს სტუ-ს ც. მირცხულავას სახელობის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტმა სააქტო დარბაზში ჩაატარა მე-7 საერთაშორისო სამეცნიერო-ტექნიკური კონფერენცია თემაზე: „წყალთა მეურნეობის, გარემოს დაცვის, არქიტექტურისა და მშენებლობის თანამედროვე პრობლემები“. კონფერენციაში მონაწილეობდა მსოფლიოს 7 ქვეყნის (აზერბაიჯანი, ბელარუსია, ლიტვა, პოლონეთი, რუსეთი, საქართველო, სომხეთი) მეცნიერები, ექსპერტები და

ახალგაზრდა სპეციალისტები. გამოიწვა 220-გვერდიანი კონფერენციის შრომათა კრებული (150 ეგზ.).

კონფერენცია გახსნა ინსტიტუტის დირექტორმა, ტექნ. მეცნ. დოქტორმა, პროფ. გივი გაგარდაშვილმა, რომელმაც მიმოიხილა წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის სამეცნიერო-ტექნიკური და საექსპერტო მოღვაწეობა, ყურადღება გაამახვილა ინსტიტუტის სამეცნიერო მიმართულებებსა და საგანმანათლებლო საქმიანობაში აქტიურ მონაწილეობაზე (ფოტო 25, 26).



ფოტო 25. კონფერენციის გახსნისას
Photo 25. The opening ceremony of the Conference
Фото 25. Во время открытия конференции



ფოტო 26. კონფერენციის მსვლელობისას
Photo 26. During the conference
Фото 26. Во время конференции

მისასაღმებელი სიტყვით აგრეთვე გამოვიდნენ: სომხეთის ქ. შუშის სახელმწიფო პოლიტექნიკური უნივერსიტეტის რექტორი, ტექნ. მეცნ. დოქტორი, პროფ. ოჰანეს ტოკმაჯიანი (ქ. ერევანი, სომხეთი), ბაქოს სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოგრაფიის ფაკულტეტის დეკანი, გეოგრ. მეცნ. დოქტორი, პროფ. ფარდა იმანოვი (აზერბაიჯანი), მეშჩერის სამეცნიერო ტექნიკური ცენტრის დირექტორი,

სოფლ. მეურნ. მეცნ. დოქტ., პროფ. იური მაჟაისკი (ქ. რიაზანი, რუსეთი), პოლონეთის ქ. ჩენსტოხოვას ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტის დეკანი ადამ უიმა, ირიგაციისა და დრენაჟის საერთაშორისო ორგანიზაციის „ICID-CHD“ ვიცე-პრეზიდენტი, ირინა ბონდარეკი (ქ. მოსკოვი, რუსეთი) და სხვები (ფოტო 27, 28, 29).



ფოტო 27. კონფერენციის პრეზიდიუმში.


მარცხნიდან – პროფესორები: ოგანეს ტოკმაჯიანი (ქ. შუშა, სომხეთი), გივი გავარდაშვილი და ფარდა იმანოვი (ქ. ბაქო, აზერბაიჯანი)

Photo 27. Prezidium of the conference

From the left: prof. Hovhannes Tokmajyan (Shush, Armenia), Givi Gavardashvili and Farda Imanov (Baku, Azerbaijan)

Фото 27. В президиуме конференции

Слева-профессоры: Ованес Токманджян (г.Ереван, Армения), Гиви Гавардашвили и Фарда Иманов (г.Баку Азербайджан)



ფოტო 28-29. კონფერენციის მონაწილეები
Photo 28–29. Participants of the conference
Фото 28–29. Участники конференции

2017 წლის 27 აგვისტოს ჩატარდა სამხრეთ კავკასიის რეგიონის საერთაშორისო სტუდენტური ოლიმპიადის (ფოტო 30, 31, 32).



ფოტო 30. ოლიმპიადის მსვლელობისას

Photo 30. During the Olympiad

Фото 30. Во время олимпиады



ფოტო 31. ოლიმპიადის მონაწილეების ნამუშევრების განხილვისას

Photo 31. During considering of the Olympiad papers

Фото 31. Во время обсуждения работ участников олимпиады



ფოტო 32. ოლიმპიადის გამარჯვებული აშოტ ბალაიანი – ქ. შუშის უნივერსიტეტის დოქტორანტი

Photo 32. Winner of the Olympiad Ashot Balaian – Phd student of the Shush University
Фото 32. Победитель олимпиады Ашот Балаян – докторант университета г. Шуши

კონფერენციის დახურვამდე ჩატარდა საერთაშორისო საორგანიზაციო კომიტეტის სხდომა და მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ მორიგი VIII საერთაშორისო კონფერენცია ჩატარდეს 2018 წლის ნოემბერში, ქ. თბილისში.

- 2017 წლის 2-3 ნოემბერს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ახალგაზრდა მეცნიერთა საბჭომ და ახალგაზრდა მეცნიერთა განვითარების ფონდმა გამართა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის 75 წლისთავის, აკადემიის პრეზიდენტის – აკად. გიორგი კვესიტაძის 75 წლისთავისა და მეცნიერების მსოფლიო დღისადმი მიძღვნილი ახალგაზრდა მეცნიერთა ინტერდისციპლინური კონფერენცია, რომლის ორგანიზებაში აქტიური მონაწილეობა მიიღო საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ცოტნე მირცხულავას სახელობის ინსტიტუ-

ტის ბუნებრივი კატასტროფების განყოფილების მეცნიერ-თანამშრომელმა, საინჟინრო მეცნ. აკად. დოქტ. მარინე შავლაყაძემ.

კონფერენციის მონაწილეებს სიტყვით მიმართა აკადემიკოსმა როინ მეტრეველმა. კონფერენციის მიზანი ახალგაზრდა მეცნიერთა კოორდინაცია, კონტაქტების დამყარება და დარგობრივი სამეცნიერო მოსაზრებების გაზიარება იყო.

ახალგაზრდა მეცნიერთა კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო 36 მომხსენებელმა საქართველოს სხვადასხვა უნივერსიტეტიდან.

აღნიშნულმა კონფერენციამ სრულად უპასუხა თანამედროვე სამეცნიერო მოთხოვნებს როგორც ლოკალურ, ისე საერთაშორისო დონეზე და იყო სამეცნიერო საზოგადოებაში ახალგაზრდების პრიორიტეტულობის მიმართულებით განხორციელებული მნიშვნელოვანი აქტივობა (**ფოტო 33**).



ფოტო 33. კონფერენციის მსვლელობისას
Photo 33. At the conference
Фото 33. Во время конференции

საზღვარგარეთ:

- 2017 წლის 14-19 მარტს ბაქოს სამეცნიერო-კვლევითი და საპროექტო ინსტიტუტის „წყალსადენის“ ოფიციალური მიწვევით სტუ-ს ცოტნე მირცხულავას სახელობის ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი გივი გავარდაშვილი მივლინებით იმყოფებოდა აზერბაიჯანში სამეცნიერო-ტექნიკურ კონფერენციაზე, რომელიც მიეძღვნა ბაქოს I საერთაშორისო წყლის კვირეულს – „შილლარ-ბაქოს“ ჰიდროტექნიკური ნაგებობის

100 წლისთავს.

სამეცნიერო-ტექნიკური კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტის გადაწყვეტილებით სტუ-ს ცოტნე მირცხულავას სახელობის ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი გივი გავარდაშვილი არჩეულ იქნა კონფერენციის „წყლის რესურსები, ჰიდროტექნიკური ნაგებობები და ბუნებრივი გარემო“ საბჭოს წევრად, ასევე წყლის რესურსების გამოყენების სექციის თავმჯდომარედ (ფოტო 34, 35, 36).



ფოტო 34. კონფერენციის მსვლელობისას
Photo 34. At the conference
Фото 34. Во время конференции



ფოტო 35. კონფერენციის მეორე სექციის – „წყლის რესურსების გამოყენების“ თავმჯდომარეობისას
Photo 35. Head of second section – session water resources using
Фото 35. Во время председательствования второй секции конференции «использование водных ресурсов»



ფოტო 36. კონფერენციის პრეზიდიუმში აზერბაიჯანელ და სერბ კოლეგებთან ერთად: მარცხნიდან – პროფესორები: ივან დესპოტოვიჩი, ფარდა იმანოვი, გივი გავარდაშვილი და მარკო ივეტიკო

Photo 36. In the presidium of conference with Azerbaijan and Serb colleagues: from left- professors: Ivan Despotovich, Farda Imanov, Givi Gavardashvili and Marco Ivetek

Фото 36. В президиуме коференции вместе с Азербайджанскими и Сербскими коллегами: слева – профессора: Иван Деспотович, Фарда Иманов, Гиви Гавардашвили и Марко Иветик

2017 წლის 16 მარტს პროფესორი გივი გავარდაშვილი კონფერენციაზე გამოვიდა მოხსენებით, რომელიც ეხებოდა ზემო სამგორის სარწყავი სისტემების რეაბილიტაციისათვის

საჭირო მეცნიერულ საკითხს და თბილისის ზღვის ეკოლოგიური პრობლემების გადაწყვეტის გზებს (ფოტო 37).



ფოტო 37. კონფერენციაზე მოხსენებისას
Photo 37. At the conference during the report
Фото 37. Во время доклада на конференции

კონფერენციის მუშაობის პროცესში იყო ოფიციალური შეხვედრები პროფესორებთან: მარკო ივეტიკსა და ივან დესპოტივიჩთან (ბელგრადის უნივერსიტეტის პროფესორები, სერბია); პროფ. რამიზ მამადოვთან (აზერბაიჯანის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის გეოგრაფიის ინსტიტუტის დირექტორი, ქ. ბაქო); პროფ. ირინა ბონდარეკთან (ირიგაციისა და დრენაჟის საერთაშორისო ორგანიზაციის „ICID-CHD“ ვიცე-პრეზიდენტი, ქ. მოსკოვი, რუსეთი); პროფ. ფარდა იმანოვთან (ბაქოს სამეცნიერო-კვლევითი და საპროექტო ინსტიტუტის დირექტორი, აზერბაიჯანი); პროფ. ლეხეკ კუჩართან (ვროცლავის გარემოს დაცვისა და სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებების უნივერსიტეტის პროფესორი, პოლონეთი); პროფ. მიტია ბრილთან (ლიუბლიანას უნივერსიტეტის სამოქალაქო და გეოინფორმაციის ფაკულტეტის პროფესორი, სლოვენია); ქალბატონ ოლგა გორელცთან (იუნესკოს რუსეთის ეროვნული კომიტეტის ჰიდროლოგიის პროგრამის პასუხისმგებელი მდივანი, ქ. მოსკოვი); ბ-ნ ბრაგა ბენედიტოსთან (მსოფლიო წყლის საბჭოს პრეზიდენტი, ბრაზილია); ბ-ნ პატრიკ ლავარდესთან (საერთაშორისო წყლის რესურსების ასოციაციის პრეზიდენტი, საფრანგეთი); პროფ. იუსიფ ისრაფილოვთან (აზერბაიჯანის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის გეოლოგიის ინსტიტუტის ჰიდროგეოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ქ. ბაქო); ქ-ნ მერი მატეოსთან (გაეროს პროგრამის — მტკვარი-არაქსის პროექტის დირექტორი, აშშ); პროფ. იური მაჟაისკისთან (მეშხარსკის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის დირექტორი, ქ. რიაზანი, რუსეთი); ასევე აზერბაიჯანის სამეცნიერო-ტექნიკური ინტელიგენციის წარმომადგენლებთან (ფოტო 38).

ნია); ქალბატონ ოლგა გორელცთან (იუნესკოს რუსეთის ეროვნული კომიტეტის ჰიდროლოგიის პროგრამის პასუხისმგებელი მდივანი, ქ. მოსკოვი); ბ-ნ ბრაგა ბენედიტოსთან (მსოფლიო წყლის საბჭოს პრეზიდენტი, ბრაზილია); ბ-ნ პატრიკ ლავარდესთან (საერთაშორისო წყლის რესურსების ასოციაციის პრეზიდენტი, საფრანგეთი); პროფ. იუსიფ ისრაფილოვთან (აზერბაიჯანის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის გეოლოგიის ინსტიტუტის ჰიდროგეოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ქ. ბაქო); ქ-ნ მერი მატეოსთან (გაეროს პროგრამის — მტკვარი-არაქსის პროექტის დირექტორი, აშშ); პროფ. იური მაჟაისკისთან (მეშხარსკის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის დირექტორი, ქ. რიაზანი, რუსეთი); ასევე აზერბაიჯანის სამეცნიერო-ტექნიკური ინტელიგენციის წარმომადგენლებთან (ფოტო 38).



ფოტო 38. ბაქოს სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორებთან ერთად. მარცხნიდან: ენურიევი, გ. გავარდაშვილი, მ. გოჯამანოვი, ტ. ზეინალოვი

Photo 38. With professors of Baku state university. Form left: E. Nuriev, G. Gavardashvili, M. Gojamanov, T. Zeinalov

Фото 38. Вместе с профессорами Бакинского государственного университета. Слева: Нуриев, Гиви Гавардашвили, Годжаманов, Тельман Зеиналов

- 2017 წლის 9 მაისიდან 15 მაისის ჩათვლით ქ. რიაზანის ს. ესენინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ოფიციალური მიწვევით სტუ-ს ცოტნე მირცხულავას სახელობის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი გივი გავარდაშვილი მივლინებით იმყოფებოდა რუსეთში, I საერთაშორისო ეკოლოგიურ ფორუმზე სახელწოდებით „ჯანმრთელი ბუნებრივი გარემო რეგიონის უსაფრთხოების სა-

ფუძველია”.

12 მაისს I საერთაშორისო ეკოლოგიურ ფორუმზე სახელწოდებით „ჯანმრთელი ბუნებრივი გარემო რეგიონის უსაფრთხოების საფუძველია” ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი გივი გავარდაშვილი გამოვიდა მოხსენებით თემაზე – „საქართველოს ენერგოდერეფნებში ეროზიული პროცესების პროგნოზირება და მათი საწინააღმდეგო ახალი ღონისძიებები” (ფოტო 39).



ფოტო 39. ფორუმზე მოხსენებისას

Photo 39. During the presentation at the forum

Фото 39. Во время доклада на форуме

- 2017 წლის 22 მაისიდან 28 მაისის ჩათვლით საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ცოტნე მირცხულავას სახელობის ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი გივი გავარდაშვილი მივლინებით იმყოფებოდა ქ. რიგაში (ლატვია) საერთაშორისო სემინარზე „ფაქტები გარემოს დაცვასა და მელიორაციაზე”, სადაც გამოვიდა მოხსენებით „მელიორაცი-

ის რისკის შეფასება კლიმატის ცვლილების ფონზე”.

სემინარი გაიმართა ქ. სილმაჩში, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ ესტონეთის, ლიტვის, ფინეთის, ნიდერლანდების, საქართველოს, რუსეთის, ბელორუსიისა და ლატვიის მეცნიერ-თანამშრომლები, სულ 140 მეცნიერ-თანამშრომელი (ფოტო 40, 41).



**ფოტო 40 - 41. ინსტიტუტის დირექტორი გ. გავარდაშვილი სემინარზე პრეზენტაციისას.
ქ. სილმაჩი, ლატვია, 2017 წლის 25 მაისი**

**Photo 40 - 41. Director of institute Givi Gavardashvili during the presentation at the seminar city
Silmachi, Latvia, 25 May, 2017**

**Фото 40–41. Директор института Г.Гавардашвили во время презентации
г. Силмачи, Латвия 25 мая 2017 года**

25 მაისს ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი გივი გავარდაშვილი შეხვდა ლატვიის სოფლის მეურნეობის მინისტრს, ბატონ ჯანის დუკლავს (ფოტო 42).



**ფოტო 42. ლატვიის სოფლის მეურნეობის მინისტრი, ბატონი ჯანის დუკლავი და
ინსტიტუტის დირექტორი გ. გავარდაშვილი შეხვედრისას**

**Photo 42. Ministry of Agriculture of the Latvia, Mr. Janis Duklav and Director of institute G.
Gavardashvili during the meeting**

**Фото 42. Во время встречи министра сельского хозяйства Латвии, господина Джаниса Дуклава
и директора института Г.Гавардашвили**

სემინარის მუშაობის პერიოდში გაიმართა შეხვედრები ლატვიის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიწის მართვის დეპარტამენტის თავჯდომარესთან, ბატონ რობერტ დილბასთან, ნიდერლანდების სარწყავი წყლის ინსტიტუტის დირექტორ, პროფ. სიპ პისტთან, ესტონეთის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მთავარ სპეციალისტ, ბატონ მატი მერტსონთან, ფინეთის ალტოს უნივერსიტეტის პროფესორ, ბატონ მიკა ტურურერთან, ბელარუსიის მელიორაციის ინსტიტუტის მთავარ სპეციალისტ, პროფ. ვლადიმერ მაკოედთან და სხვ.


2017 წლის 26 მაისს სემინარის პერიოდში ასევე გაიმართა პროფესიული ექსკურსიები სადრენაჟო სისტემებისა და სოფლის მეურნეობის სავარგულების მოსარწყავად განკუთვნილ ხელოვნურად მოწყობილ წყალსაცავებზე.

საეთაშორისო სემინარის დახურვის წინ მომხსენებლებს გადაეცათ შესაბამისი სერთიფიკატები.

- 2017 წლის 16 ივნისიდან 20 ივნისის ჩათვლით, 5 დღით, მსოფლიო საინჟინრო და ტექნოლოგიების მეცნიერებათა აკადემიის საორგანიზაციო და სარედაქციო კომიტეტის წევრის სტატუსით სტუ-ს ცოტნე მირცხულავას სახელობის ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი გივი გავარდაშვილი მივლინებით იმყოფებოდა ნიდერლანდების სამეფოში, ქ. ამსტერდამში XIX მსოფლიო კონფერენციაზე.

მივლინების მიზანი იყო ევროკავშირის გრანტის „ჰორიზონტ-2020“-ის მომზადებისათვის საერთაშორისო კონცერნის ჩამოყალიბებისათვის პარტნიორების მოძიება.

კონფერენციას ესწრებოდა 12 ქვეყნის მოწინავე მეცნიერ-თანამშრომელი: ეგვიპტე, კოლუმბია, ავსტრია, თურქეთი, საქართველო, შვეიცარია, ჩინეთი, ისრაელი, დიდი ბრიტანეთი, ინდონეზია, მექსიკა, ხორვატია. 19 ივნისს XIX მსოფლიო კონფერენციაზე ცოტნე მირცხულავას სახელობის ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი გივი გავარდაშვილი გამოვიდა მოხსენებით (ფოტო 43).



ფოტო 43. მოხსენებისას
Photo 43. During the presentation
Фото 43. Во время доклада

მომავალში სტუ-ს ცოტნე მირცხუ-
ლავას სახელობის წყალთა მეურნე-
ობის ინსტიტუტის თანამშრომელთა
კონფერენციაში აქტიურად ჩართვის
მიზნით შეხვედრები შედგა მსოფ-
ლიო საინჟინრო და ტექნოლოგიე-
ბის მეცნიერებათა აკადემიის ადმი-
ნისტრაციის წარმომადგენლებთან,
რომლებიც მოწვეულ იქნენ ქ. თბი-
ლისში 2017 წლის 30 აგვისტოს მე-7
საერთაშორისო სამეცნიერო-ტექნი-
კურ კონფერენციაზე - „წყალთა მე-
ურნეობის, გარემოს დაცვის, არქი-
ტექტურისა და მშენებლობის თანა-
მედროვე პრობლემები“.

- 2017 წლის 8-14 ოქტომბერს მექსი-
კის დედაქალაქ მეხიკოში ჩატარდა
ირიგაციისა და დრენაჟის საერთა-
შორისო კომისიის 23-ე კონგრესი.
ირიგაციისა და დრენაჟის საერთა-
შორისო კომისიის ვიცე-პრეზიდენ-
ტის, პროფესორ ირინე ბონდარიკის
ოფიციალური მიწვევით კონგრესზე
მივლინებით იმყოფებოდა სტუ-ს ც.
მირცხულავას სახელობის წყალთა
მეურნეობის ინსტიტუტის დირექტო-
რი, პროფესორი გ. გავარდაშვილი.

8-13 ოქტომბერს 23-ე კონგრესის
ეგიდით გაიმართა ოფიციალური
შეხვედრები ირიგაციისა და დრენა-
ჟის საერთაშორისო კომისიის პრე-
ზიდენტ, პროფესორ საიდ ნაირი-
ზისთან (ირანი), ირიგაციისა და
დრენაჟის საერთაშორისო კომისიის
გენერალურ მდივან, პროფესორ იე-
ლარედისთან (ინდოეთი), საფრანგე-
თის ირიგაციისა და დრენაჟის ნა-
ციონალური კომიტეტის გენერა-
ლურ მდივან, პროფესორ დომინიგ
როლინთან, იტალიის ირიგაციისა
და დრენაჟის ნაციონალური კომი-
ტეტის მდივან, პროფესორ მარკო

არკიერთან, ირიგაციისა და დრენა-
ჟის საერთაშორისო კომისიის
ახალგაზდრა მეცნიერთა საბჭოს
თავმჯდომარე, ქალბატონ კატლინ
ჰუეველთან (ავსტრალია), უზბეკე-
თის ირიგაციისა და დრენაჟის ნა-
ციონალური კომიტეტის თავმჯდომა-
რე, პროფესორ შუხრატ მუხამედ
ხანოვთან, უკრაინის ირიგაციისა
და დრენაჟის ნაციონალური კომი-
ტეტის თავმჯდომარე, აკადემიკოს
პეტრე კოვალენკოსთან, ევროპის
რეგიონის ირიგაციისა და დრენა-
ჟის ნაციონალური კომიტეტის თავ-
მჯდომარე, პროფესორ იან მაკინ-
სთან, ირიგაციისა და დრენაჟის სა-
ერთაშორისო კომისიის ვიცე-პრე-
ზიდენტ, პროფ. ლი ბონგ ჰონსთან
(სამხრეთ კორეა), ნიდერლანდების
ირიგაციისა და დრენაჟის ნაციონა-
ლური კომიტეტის თავმჯდომარე,
პროფესორ ლასზლო ჰაიდესა და
სხვებთან.

14 ოქტომბერს 23-ე კონგრესის
ადმასრულებელი საბჭოს სხდომა-
ზე ირიგაციისა და დრენაჟის საერ-
თაშორისო კომისიის წევრად მიღე-
ბის მიზნით პროფესორი გ. გავარ-
დაშვილი წარსდგა მოხსენებით –
“საქართველოს ირიგაციისა და
დრენაჟის სისტემების ისტორია,
სარწყავი და დამშრობი სისტემების
ექსპლუატაციის თანამედროვე მიზ-
ნები და ამოცანები”.

ირიგაციისა და დრენაჟის საერ-
თაშორისო კომისიის მიერ ჩატარე-
ბული კენჭისყრით საქართველო
ირიგაციისა და დრენაჟის საერთა-
შორისო კომისიაში (ICID -
International Commission on Irrigation &
Drainage) წევრი გახდა. საერთაშო-
რისო ადმასრულებელმა საბჭომ
(IEC), როგორც ICID-ის გადაწყვე-

ტილების მიმღებმა უმაღლესმა ორგანომ, საქართველოს განაცხადი პროფ. გ. გავარდაშვილის მიერ წარდგენილი განაცხადი დაადასტურა. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებული ყველა აუცილებელი პროცედურა 2018 წლის იანვრის ბოლომდე დასრულდება.

ირიგაციისა და დრენაჟის საერთაშორისო კომისია (ICID - International Commission on Irrigation & Drainage)

1951 წლიდან სამ წელიწადში ერთხელ ორგანიზებას უწევს ირიგაციისა და დრენაჟის საერთაშორისო კონგრესის უმნიშვნელოვანესი ღონისძიების ჩატარებას. ამჟამად, ICID აერთიანებს 76 წევრ ქვეყანას აფრიკის, ამერიკის, აზიის, ოკეანეთისა და ევროპის მასშტაბით, რომელიც მოიცავს მსოფლიოს სარწყავი ტერიტორიების 95%-ს (ფოტო 44, 45).



ფოტო 44. ირიგაციისა და დრენაჟის საერთაშორისო კომისიის 23-ე კონგრესის მსვლელობისას (მექსიკა, მეხიკო)

Photo 44. During 23rd congress of International Commission on Irrigation & Drainage (Mexico)
 Фото 44. Во время проведения международной комиссии иригации и дренажа (Мексика, Мехико)



ფოტო 45. ირიგაციისა და დრენაჟის საერთაშორისო კომისიის პრეზიდენტ, პროფესორ საედ ნაირიზისთან (მექსიკა, მეხიკო, 2017 წლის 14 ოქტომბერი)

Photo 45. With president of International Commission on Irrigation & Drainage Saed Nairiz (Mexico, October, 2017)

Фото 45. С президентом международной комиссии иригации и дренажа профессором Саидом Наиризи (Мексика, Мехико 14 октября 2017 года)

- 2017 წლის 28 ნოემბერი - 1 დეკემბერს ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი მარინე შავლაყაძე იმყოფებოდა გერმანიაში, ქალაქ ფრაიბურგში საერთაშორისო კონფერენციაზე მონაწილეობის მისაღებად მოხ-

სენებით თემაზე: „საწარმოო ნარჩენებიდან მიღებული მანგანუმის (II) ნიტრატის გამოყენების შესაძლებლობის კვლევა მიკროსასუქად გამოყენების მიზნით“ (ფოტო 46).



ფოტო 46. კონფერენციაზე მოხსენებისას

Photo 46. During the presentation

Фото 46. Во время презентации

- 2017 წლის 4-10 დეკემბერს სტუ-ს 2017 წლის 28 ნოემბრის №300/04 ბრძანების თანახმად, ინსტიტუტის დირექტორი, პროფ. გ. გავარდაშვილი მივლინებაში იმყოფებოდა პოლონეთში, ქ. ჩესტოხოვაში, მე-14 საერთაშორისო სამეცნიერო ტექნიკური კონფერენციის „ოპტიმიზირებული ენერჯო პოტენციალის მშენებლობა“ მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად.

2017 წლის 4 დეკემბერს, ქ. ვარშავაში გაიმართა შეხვედრა ვარშავის სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებების უნივერსიტეტის პროფესორ, ტექნ. მეცნ. დოქტორ ერჟი ერზნახთან. საუბარი შეეხო ერთობლივად მომზადებული პროექტის ნატოს პროექტის ვარშავის უნივერსიტეტის მიერ ნატოს ოფისში წარდგენას (**ფოტო 47**).

2017 წლის 5 დეკემბერს შეხვედრა

შედგა ჩესტოხოვას პოლიტექნიკურ უნივერსიტეტის რექტორ, ტექნ. მეცნ. პროფ. ნორბერტა ჟიგიოლთან, საუბარი შეეხო უნივერსიტეტსა და სტუ-ს ცოტნე მირცხულავას სახელობის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტს შორის სასწავლო-სამეცნიერო თანამშრომლობას, მიღწეულ იქნა შეთანხმება მემორანდუმის მომზადებას და მის ხელმოწერასთან დაკავშირებით.

იმავე დღეს შედგა შეხვედრა ჩესტოხოვას პოლიტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტის დეკან, პროფესორ გაჩეი მეიჯორთან. საუბარი შეეხო მათი უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტსა და სტუ-ს ცოტნე მირცხულავას სახელობის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტს შორის თანამშრომლობას, ჰიდროტექნიკური ნაგებობებისა და გარემოსდამცავი კონსტრუქციების მიმართულებით.



ფოტო 47. პროფ. ერჟი ერზნახთან შეხვედრისას
Photo 47. At the meeting with Dr. Jerzy Erznakh
Фото 47. Во время встречи с Ержи Ерзнахом

- 2017 წლის 6 დეკემბერს შედგა შეხვედრა, რომელსაც ესწრებოდნენ ჩესტოხოვას პოლიტექნიკური უნი-

ვერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტის დეკანის მოადგილე პროფ. მაგდალენა გრუძინსკა, ამავე ფაკულტე-

ტის მშენებლობის დეპარტამენტის ხელმძღვანელი პროფ. ადამ იუმა, პროფესორი ბოგუსლავ ჟუბა და სხვ. შეხვედრისას საუბარი შეეხო საერთაშორისო საგრანტო პროექტებისა და ევროკავშირის „ERASMUS+“ სასწავლო-გაცვლით პროგრამებში ერთობლივ მონაწილეობას.

2017 წლის 7 დეკემბერს პროფ. გ. გავარდაშვილი ხელმძღვანელობდა მე-14 საერთაშორისო კონფერენციის



ფოტო 48. სექციის ხელმძღვანელობისას
Photo 48. At the leadership of the section
Фото 48. Во время руководства секцией

2017 წლის 8 დეკემბერს შედგა შეხვედრა პოლონეთის მეცნიერებების განვითარების ფონდის პრეზიდენტ, პროფესორ ვაეზიკ პლაჩთან და ვიცე პრეზიდენტ ანა მიტრაზევსკასთან. საუბარი შეეხო სტრუქტურულ მირცხულავას სახელობის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის მონაწილეობას საგრანტო პროექტებში, რომელიც ფინანსდება პოლონეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ.

მე-3 სექციას (ფოტო 48), რომელზეც წარმოდგენილი იყო 11 მოხსენება. აგრეთვე გააკეთა მოხსენება თემაზე „ღვარცოფის ეფექტური რეგულირება ახალი ღვარცოფსაწინააღმდეგო ტრამპლინის ტიპის ცილინდრული ფორმის ნაგებობებით“, რომელშიც განხილულ იქნა ზემოთ აღნიშნული ღვარცოფსაწინააღმდეგო ნაგებობების დაპროექტებისათვის გაანგარიშების მეთოდოლოგია (ფოტო 49).



ფოტო 49. კონფერენციაზე მოხსენებისას
Photo 49. During the presentation at the conference
Фото 49. Во время доклада на конференции

2017 წლის 9 - 10 დეკემბერს შედგა პროფესიულ-კულტურული ექსპურსიები როგორც ქ. ჩესტოხოვაში, ასევე ქ. კატოვიცაში. ექსპურსიის თემატიკას წარმოადგენდა თანამედროვე სამოქალაქო-სამშენებლო და ჰიდროტექნიკური მშენებლობები და მეციორაციული კონსტრუქციების გაცნობა-შეფასება.

კონფერენციის დასასრულს მონაწილეებს გადაეცათ საერთაშორისო სერთიფიკატები.

ინსტიტუტის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები

- 2017 წლის 14-19 მარტს ბაქოს სამეცნიერო-კვლევითი და საპროექტო ინსტიტუტის „წყალსადენის“ ოფიციალური მიწვევით სტუ-ს ცოტნე მირცხულავას სახელობის ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი გივი გავარდაშვილი მივლინებით იმყოფებოდა აზერბაიჯანში სამეცნიერო-ტექნიკურ კონფერენციაზე, რომელიც მიეძღვნა ბაქოს I საერთაშორისო წყლის კვირეულს – „შილღარ-ბაქოს“ ჰიდროტექნიკური ნაგებობის 100 წლისთავს.

